186
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1988 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1988 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

25. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

26. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და მიწოდების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათაა შესახებ.
27. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 234 და 1970 წლის 20 ოქტომბრის № 574 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
28. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების საქმიანობის შესახებ.
29. საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

30. საქართველოს სსრ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფაცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

31. იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები.
32. აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის უკვდავყოფის შესახებ.
33. აკადემიკოს ა. დ. შანიძის სახელის უკვდავყოფის შესახებ.
34. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საუწყებათაშორისო რესპუბლიკური ფაკულტეტის შექმნის შესახებ.
35. საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პრეისკურანტების დამტკიცების წესის შესახებ.
36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
38. საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
39. მოსახლეობისათვის კოოპერატივებისა დ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მიყიდვის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.
40. ლაგოდეხის რაიონის სოფელ განჯალის არასრული საშუალო სკოლისათვის მ. ფ. ახუნდოვის სახელის მიკუთვნების შესახებ.
41. მუხათგვერდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის წესის შესახებ.
42. საქართველოს სსრ საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ.
43. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის სამუსიკო სკოლისათვის დ. ე. არააყიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.
44. პროფესორ კ. ე. გაბუნიას სახელობის პრემიის დაწესების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

25 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრლური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიმდინარეობს მიზანდასახული მუშაობა ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად და ფულის მიმოქცევის განსამტკიცებლად, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში რესპუბლიკის საწარმოთა (გაერთიანებათა) და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმატებული მუშაობისათვის სასტარტო პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად.

სამინისტროებმა, უწყებებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ადგილობრივ საგეგმო, საფინანსო და საბანკო ორგანოებთან ერთად შეიმუშავეს კონკრეტული მრავალმხრივი ღონისძიებანი 1987-1990 წლებში ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, რომლებიც განიხილეს და მიიღეს შრომითმა კოლექტივებმა და დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავისი 1987 წლის 10 დეკემბრის № 608 დადგენილებით „1987-1990 წლებში რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“ და მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობაზე 1988 წლიდან საწარმოთა გადასაყვანად რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VII და VIII პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა:

— ფართოდ გაშალონ 1988-1990 წლებში საწარმოთა, გაერთიანებათა, სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, სამინისტროებისა და

საქ. სსრ კ. მარქსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მიზანია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება და ფულის მიმოქცევის განმტკიცება;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მთავარ ამოცანად დასახონ საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ინიციატივა და შემოქმედებითი მიდგომა „1987-1990 წლებში რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 დეკემბრის № 608 დადგენილებით დასახული მიჯნების მისაღწევად, უზრუნველყონ მხარდაჭერა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ საკითხზე ყოველ შრომითს თაოსნობას; უკეთ გამოიყენონ შეჯიბრების შესაძლებლობანი მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, უყაირათობისა და მფლანგველობისადმი, სოციალისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით თითოეული მისი მონაწილის აღსაზრდელად;

— საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების შეჯიბრება წარმართონ მყარი ფინანსური მდგომარეობის, საფინანსო-საკრედიტო რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების, მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის, რენტაბელობის ამაღლებისა და ზარალიანობის ლიკვიდაციის, საანგარიშსწორებო და საგადასახდელო დისციპლინის განმტკიცების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების საყოველთაო შემცირებისა და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის უზრუნველსაყოფად;

— გააძლიერონ მართვის ყველა რგოლის სამეურნეო ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი სამეურნეო საქმიანობის უბნის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ყაირათიანად და ეფექტიანად გამოყენების, საანგარიშსწორებო და საგადასახდელო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

— გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა სოციალისტური ვალდებულებების, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პირადი შემოქმედებითი გეგმების ეკონომიკური დასაბუთების უზრუნველსაყოფად; მიაღწიონ იმას, რომ საამქროების, უბნების, ბრიგადების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი მათი ფინანსური გაჯანსაღების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდეს; უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული ფორმები და მეთოდები, დაბეჯითებით მიაღწიონ იმას, რომ ფინანსური გაჯანსაღების საუკეთესო შედეგებისათვის პრემირების სისტემა დაკავშირებული იყოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებთან.

2. საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, მათმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეჯიბრე-

ბის მონაწილეთა ღონისძიებანი მოახმარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვებისა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების დებიტორული დავალიანების, ბანკისა და მიმწოდებელთათვის გადაუხდელი თანხების შემცირების, აგრეთვე მოგების გეგმების შესრულების დავალებათა განხორციელებას.

3. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ღონისძიებანი მოახმარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვებისა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის, ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორული დავალიანების, ბანკისა და მიმწოდებელთათვის გადაუხდელი თანხების შემცირების, აგრეთვე მოგების გეგმების შესრულების და რეგიონში ფულის მიმოქცევის განმტკიცების დავალებათა განხორციელებას.

4. რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, მათმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საქვეუწყებო საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ღონისძიებანი წარმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვებისა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის, ზარალიან საწარმოთა რაოდენობის შემცირების, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორული დავალიანების, ბანკისა და მიმწოდებელთათვის გადაუხდელი თანხების შემცირების, აგრეთვე მოგების გეგმების შესრულების დავალებათა განსახორციელებლად.

5. 1988-1990 წლებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი განისაზღვრებიან:

— პირველი კვარტალის, ნახევარი წლისა და ცხრა თვის მუშაობის შედეგების მიხედვით — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელების მინიჭებით;

— წლის მუშაობის შედეგების მიხედვით — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო დიპლომების მინიჭებით და ფულადი პრემიების მიცემით რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 1988-1990 წლებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს მიენიჭოთ:

— საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შორის (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების (გაერთიანებების) ჩათვლით) — ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი;

— ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შორის — ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი;

— რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს შორის — ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი.

7. შეიქმნას რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელი კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ზ. ა. ჩხეიძე (კომისიის თავმჯდომარე), ო. გ. ვარძელაშვილი, ლ. ი. ხაბურზანია, დ. ნ. დვალიშვილი, ლ. ს. ხარბედია, ვ. ა. პატეიშვილი, ზ. გ. გენძეხაძე, ი. ა. კორტავა, ა. კ. ერგემლიძე, რ. ვ. ბასარია, რ. შ. კაკულია (კომისიის მდივანი).

8. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობებისა და შედეგების შეჯამების წესის შესახებ.

9. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

10. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი გამოიყენებენ მთელ მატერიალურ, შრომითსა და ფინანსურ რესურსებს და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მიაღწევენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობისა და ფულის მიმოქცევის ძირეულ გაუმჯობესებას და ამით უზრუნველყოფენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**ო. ჩერქეზია**	**ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 1 მარტი, № 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1988 წლის 1 მარტის № 115 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობებისა და შედეგების შეჯამების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ეწყობა ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით.

შეჯიბრება ტარდება რესპუბლიკისა და მისი რეგიონების მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის დინამიკური ზრდის, სახელმწიფოს ეროვნული შემოსავლის, მოგებისა და სხვა ფინანსური რესურსების განუხრელი გადიდების, საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, სახალხო მეურნეობაში ფინანსური ურთიერთობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნები.

შეჯიბრებამ უნდა უზრუნველყოს საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება, მუშაობის საბოლო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება, ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება და ფულის მიმოქცევის განმტკიცება.

II. შეჯიბრების პირობები

1. ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ტარდება:

— საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შორის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 დეკემბრის № 608 დადგენილებით დამტკიცებულ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მიერ მოწონებულ სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვებისა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების, სასაქონლო-მატერიალურ ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორული დავალიანებისა, ბანკისა და მიმწოდებელთათვის გადაუხდელი თანხების შემცირების, აგრეთვე მოგების გეგმის შესრულების დავალებათა განხორციელებისათვის;

— ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შორის — საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვებისა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის, ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორული დავალიანების, ბანკისა და მიმწოდებელთათვის გადაუხდელი თანხების შემცირების, აგრეთვე მოგების გეგმის შესრულების, რეგიონში ფულის მიმოქცევის განმტკიცების დავალებათა განხორციელებისათვის;

— სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს შორის — საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვებისა და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის, ზარალიან საწარმოთა რაოდენობის შემცირების, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორული დავალიანების, ბანკისა და მიმწოდებელთათვის გადაუხდელი თანხების შემცირების, აგრეთვე მოგების გეგმის შესრულების დავალებათა განხორციელებისათვის.

2. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი ჯილდოვდებიან:

— პირველი კვარტალის, ნახევარი წლისა და ცხრა თვის მუშაობის შედეგების მიხედვით — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელებით;

— წლის მუშაობის შედეგების მიხედვით — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო დიპლომებითა და რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ფულადი პრემიებით შემდეგი ოდენობით:

ა) საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებმაც დაიკავეს:

— პირველი ადგილი	— 5 ათასი მანეთი,
— მეორე ადგილი	— 3 ათასი მანეთი,
— მესამე ადგილი	— 2 ათასი მანეთი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა — ... მები, რომლებმაც დაიკავეს:

— პირველი ადგილი	— 10 ათასი მანეთი
— მეორე ადგილი	— 5 ათასი მანეთი,
— მესამე ადგილი	— 3 ათასი მანეთი;

გ) სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, რომლებმაც დაიკავეს:

— პირველი ადგილი	— 10 ათასი მანეთი
— მეორე ადგილი	— 5 ათასი მანეთი,
— მესამე ადგილი	— 3 ათასი მანეთი;

III. შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

1. დაწესდეს, რომ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცების მიზნით სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, საწარმოთა და გაერთიანებათა კოლექტივების (რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების (გაერთიანებების) ჩათვლით) რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ყოველკვარტალურად მუშაობის მზარდი შედეგების მიხედვით.

უპირატესობა მიეცემათ საწარმოო კოლექტივებს, რომლებიც მიაღწევენ ფინანსური მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებასა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებას, ყოველგვარი რესურსების ეკონომიას, სრული მოცულობით შეასრულებენ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს, აგრეთვე მოგებისა და თვითღირებულების საგეგმო დავალებებს. საწარმოები (გაერთიანებები), ორგანიზაციები, რაიონები, ქალაქები, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკები, სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ვერ შეასრულებენ დავალებებს ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით და ვერ უზრუნველყოფენ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების დამატებით დავალებათა უცილობლივ შესრულებას, ამოირიცხებიან სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის წოდების მინიჭების პრეტენდენტთა რიცხვიდან.

2. მასალები რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებლად წარედგინებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის არა უგვიანეს 30 რიცხვისა, ამ დებულების დანართის თანახმად.

მასალებს წარმოადგენენ:

— საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიხედვით (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების (გაერთიანებების) ჩათვლით) — საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოები, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონებისა-ხალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები;

—ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიხედვით — საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები და პროფკავშირთა შესაბამისი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები;

— სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიხედვით — სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, აგრეთვე მათი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

3. სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონებისათვის მიკუთვნებული ფულადი პრემიებიდან არანაკლებ 50 პროცენტი უნდა მოხმარდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე თავგამოჩენილი საწარმოების (გაერთიანებების), ორგანიზაციების მუშაკთა, აგრეთვე ამ კოლექტივების განთავისუფლებულ პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკთა პრემირებას.

ფულადი პრემიების მეორე ნაწილი გამოიყენება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების აპარატების, ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებების, ადგილობრივი საგეგმო, საფინანსო, საბანკო და სტატისტიკური ორგანოების მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საგეგმო და დამატებით დავალებათა შესრულებაში. ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მათი თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტს.

გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნული ფულადი პრემიების განაწილების შესახებ მიიღებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიები შესაბამის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

4. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა პრემირება ხორციელდება მეურნეობის გაძღოლის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებასა და სამინისტროების, უწყებებისა და რეგიონების საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებაში პირადი წვლილის შესაბამისად; ერთი მუშაკის პრემიის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს მისი თვიური სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) არანაკლებ 15 პროცენტს.

5. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ უზრუნველყონ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა საპატიო სიგელებისა და საპატიო დიპლომების დამზადება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის [illegible] საღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობებისა და შედეგების შეჯამების წესის შესახებ დებულების დანართი

შ ე დ ე გ ე ბ ი

_____ რესპუბ-

(სამინისტრო, უწყება, რეგიონი, საწარმო (გაერთიანება)

ლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულებისა

198—— წლის _____

(I კვარტალი, 6 თვე, 9 თვე, წელი)

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	დაწესებული დავალება		ფაქტიური შესრულება	გადახრა	შესრულების პროცენტი
		წლიური	საანგარიშო პერიოდისა			
მოგება (შემოსავალი)	ათასი მანეთი					
ბიუჯეტის დამატებითი შემოსავალი — სულ:*)	„					
მათ შორის:						
— ბრუნვის გადასახადი	„					
— მოგების ანარიცხები ბიუჯეტში	„					
— სხვა დამატებითი შემოსავალი	„					
საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსება	„					
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების შემცირება	„					
დებიტორული დავალიანების შემცირება	„					
გადაუხდელი თანხების შემცირება	„					

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	დაწესებული დავალება		ფაქტიური შესრულება	გადახრა	შესრულების პროცენტი
		წლიური	საანგარიშო პერიოდისა			
ზარალიან საწარმოთა რაოდენობის შემცირება	რაოდენობა					
საკასო გეგმის შესრულება*)						
მათ შორის:						
— შემოსავლის ნაწილში	ათასი მანეთი					
— გასავლის ნაწილში	„					

შენიშვნა: *) შეავსებენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

ხელმოწერები: დებულების III განაყოფის მე-2 პუნქტის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

26 სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და მიწოდების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ პერიოდში მიღებული ზომების შედეგად რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა. ამასთანავე პროდუქციის საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წონა უკავია მოსახლეობის მეურნეობებში დამზადებულ პროდუქციას, რის შედეგადაც საერთო-საკავშირო და შინარესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების გეგმებში შეაქვთ მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ხოლო მისი დამზადებისა და მიწოდების ფუნქციები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დაკისრებული აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას.

ამავე დროს სამომხმარებლო კოოპერაცია მოწოდებულია დაამზადოს და გაასაღოს პროდუქცია არა სახელმწიფო, არამედ სახელშეკრულებო ფასებში.

უკანასკნელი წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების არსებული ფორმისას საზოგადოებრივი მეურნეობები არ იჩენენ დაინტერესებას საკარმიდამო ნაკვეთებზე პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ხარისხის ამაღლებით, რის შედეგადაც გასულ წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34,5 ათასი ტონისა კოოპერაციული ვაჭრობის ფასებში გაიყიდა მხოლოდ 11,3 ათასი ტონა ხორცი.

ამასთან ერთად სახელმწიფო რესურსებში შესატანი ერთი და იგივე სახეობათა პროდუქციის დამზადების ორი ორგანიზაციის არსებობა ასუსტებს პასუხისმგებლობას, იწვევს გაუპიროვნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ, ეწეოდა რა 1986 წლამდე მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო დამზადებას, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა თავის სისტემაში შექმნა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც საშუალებას აძლევს კომიტეტს შეასრულოს მოსახლეობის მიერ წარმოებული ყველა ძირითადი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო დამზადების ფუნქციები.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდების, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების გაუმჯობესების, პირად დამხმარე მეურნეობათა პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე „საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 თებერვლის № 265 დადგენილების მოთხოვნების შესრულების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაეკისროს 1988 წლის 1 აპრილიდან საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს ბოსტნეულის (თავიანი ხახვისა და ნივრის ჩათვლით), კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების, ხილის, ციტრუსების, სუბტროპიკული ხურმის, გარეული ხილის, სამკურნალწამლო ნედლეულის, დაფნის ფოთლის, ლუფის, ხმელი ხილის (ჩირის), ხორცისა და მატყლის დამზადებისა და საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების ფუნქციები.

2. ხორცის წარმოების, დამზადებისა და რეალიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიზნით:

— დაუწესდეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს 1988 წლისათვის მოსახლეობისაგან პირუტყვის შესყიდვის სახელმწიფო შეკვეთა 56330 ტონის მოცულობით;

— საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა:

ა) დაუგზავნოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს 1988 წელს სახელმწიფოსათვის პირუტყვის მიყიდვის დამატებითი სახელმწიფო შეკვეთები. გააფორმოს მოსახლეობასთან ორმხრივი ხელშეკრულებანი პირუტყვის დამზადების თაობაზე შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმების დანერგვით და უზრუნველყოს პირუტყვის შესყიდვის დამატებით საგეგმო დავალებათა ასახვა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო გეგმებში;

ბ) გაუწიოს ყოველმხრივი ქმედითი დახმარება მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებას, ამასთან უზრუნველყოს მათთვის საკვებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდეულის გამოყოფა, მიიღოს ზომები ზოოვეტერინარული და სხვა სახეობათა მომსახურების გასაუმჯობესებლად, არ დაუშვას საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის პროდუქტიულობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მიღწეული დონის შემცირება. პერიოდულად გააანალიზოს საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის დამზადებისა და რეალიზაციის მდგომარეობა და შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა პირუტყვის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებული გეგმების წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ფართოდ განავითარონ შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმები, ბრიგადული და ოჯახური იჯარები კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს, როგორც გამონაკლისი, გადასცეს ცეკავშირს სახელმწიფო შესყიდვის გეგმის ფარგლებში ხელშეკრულებათა გარეშე მოსახლეობისაგან შესყიდული პირუტყვის ხორცი კოოპერაციული ვაჭრობის ფასებში სარეალიზაციოდ.

ცეკავშირის გამგეობამ გააძლიეროს მოსახლეობაში მუშაობა სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესასყიდად სურსათზე მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობასთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე პირუტყვის სუქების უზრუნველყოფის მიზნით ცეკავშირის გამგეობამ გადასცეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს მის მიერ მიმდინარე წელს გამოყოფილი კომბინირებული საკვების საბაზრო ფონდები კომიტეტის სისტემის მეშვეობით მოსახლეობისათვის ამ საკვების სარეალიზაციოდ, აგრეთვე საქონელბრუნვის შესაბამისი გეგმა.

5. მოსახლეობისაგან შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის მასთან ანგარიშსწორება განხორციელდეს დამამზადებელ ორგანიზაციათა სალაროების მეშვეობით, აგრეთვე სსრ კავშირის შემნახველი ბანკის ანაბრებზე თანხების გადარიცხვით ანდა საფოსტო გზავნილებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან დაუბრკოლებელი ანგარიშსწორების მიზნით სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა უზრუნველყოს დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის ფულის ნიშნების მიცემა მათი განაცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან ერთად შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 და მომდევნო წლების გეგმებში.

7. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა და ცეკავშირის გამგეობის წინადადება და გადაეცეს ცეკავშირისაგან საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს დადგენილი წესით გაყოფის უწყისის საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, ხელფასის ფონდი, სახსრები სხვა ხარჯებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ძირითად საშუალებათა და მატერიალურ ფასეულობათა მიღება-გადაცემა განხორციელდეს დადგენილი წესით 1988 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი აქტების გაფორმება დამთავრდეს ერთი თვის ვადაში.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს განსაზღვროს ცეკავშირის გამგებლობიდან გადაცემული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მმართველობის აპარატის შენახვისა და სხვა პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი დებულების შესაბამისად.

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა გადაამოწმოს საქართველოს სსრ ხორცკომბინატებისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ შეკვეთის საფუძველზე ჩაბარებული პირუტყვის და მათგან მიღებული ხორცისა და ხორცპროდუქტების რაოდენობა.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ დააზუსტონ ხორცკომბინატებსა და მაცივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში ხორცის ნაშთები და 1988 წლის 15 მაისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მისი რეალიზაციის შესახებ.

10. დაუბრუნდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დადგენილი წესით ის სავაჭრო ობიექტები, რომლებიც გადაეცა ცეკავშირს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 30 დეკემბრის № 1512 განკარგულებით.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ცეკავშირის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის საქონელბრუნვის გეგმებში.

12. საქართველოს კპ საოლქო, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა და რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, მათი შესყიდვის ორგანიზაციისა და სახელმწიფო რესურსებში ჩართვის, ამ საქმეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

13. საერთო-საკავშირო ფონდში პროდუქციის მიწოდების სახელმწიფო შეკვეთის გარანტირებული შესრულების მიზნით აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, ცეკავშირის გამგეობას, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს საზოგადოებრივ ან პირად მეურნეობებში წარმოებული ციტრუსების რეალიზაცია (როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისევე მის ფარგლებს გარეთ) სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვის საერთო-რესპუბლიკური გეგმის შესრულებამდე, აგრეთვე სუბტროპიკული ხურმისა, სხვა ხილისა, ბოსტნეულისა, ბაღჩეულისა და კარტოფილისა (რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის გარდა მათი საგეგმო მოცულობის 30 პროცენტის ფარგლებში) — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

დასახულის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით:

— საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა უზრუნველყოს მოსახლეობასთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეული ციტრუსოვანთა ნაყოფის, სუბტროპიკული ხურმის, სხვა ხილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კარტოფილის სახელმწიფო ფასებში ჩაბარების შესახებ;

— საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოფლის ცხოვრების", „თბილისის", „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციებმა, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების საკუთარმა კორესპონდენტებმა საქართველოს სს რესპუბლიკაში, მასობრივი აგიტაციისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, სასოფლო რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გააცნონ მოსახლეობას ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება;

— საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ, საქართველოს კპ აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებმა, შესაბამისმა რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მეციტრუსეობისა და მეხილეობის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა, რომელთა გამგებლობაშიც არის სატრანსპორტო საშუალებანი, არ დაუშვან ციტრუსებისა და სხვა ხილის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობების დარღვევით.

14. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან ერთად ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადება ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით წინანდელ ნორმატიულ აქტებში შესაბამის ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 მარტი, № 145

27 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 234 და 1970 წლის 20 ოქტომბრის № 574 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში კერძების ასორტიმენტის გაფართოებისა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 234 დადგენილების 1-ლი პუნქტის პირველი აბზაცი და 1970 წლის 20 ოქტომბრის № 574 დადგენილების მე-2 პუნქტის მეცხრე აბზაცი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 5 აპრილი, № 164

საქ. სსრ კ. მარქსი

28 მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების საქმიანობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საჭიროა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნა.

აქედან გამომდინარე, გაუმჯობესდა საქართველოს სსრ სახმომარაგების საქმიანობა პროდუქციის მიწოდების დისციპლინის განმტკიცების, სათბობისა და მატერიალური რესურსების ეკონომიის ხაზით. გარკვეული ძვრებია მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის საქმეში და ა. შ.

ამასთანავე რესპუბლიკაში მომარაგებისა და გასაღების საკითხებს თან ახლავს ნაკლოვანებანი, რაც დამახასიათებელია მთლიანად ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მოქმედი მექანიზმისათვის და პრინციპული შეფასება მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 818 დადგენილებაში „მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნისა და სსრ კავშირის სახმომარაგების საქმიანობის შესახებ". კერძოდ, მატერიალური რესურსების დაგეგმვისა და განაწილების დამკვიდრებული სისტემა მეტისმეტად ცენტრალიზებული და გართულებულია და ვერ უზრუნველყოფს წარმოებისა და მოხმარების სათანადო დაბალანსებას. ამ პირობებში ფერხდება დამამზადებელთა და მომხმარებელთა შორის ნამდვილი სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის, მომარაგების მოქნილი ფორმების განვითარება, საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სსრ სახმომარაგების საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს უმთავრესად მომარაგების ისეთი ფორმების გაფართოებას, როგორიცაა მომხმარებელთა და დამამზადებელთა შორის პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა ხელშეკრულებათა როლის ამაღლებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით, წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობის თანამიმდევრული განვითარება და მისი გადაქცევა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითად ფორმად. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე რესურსდაზოგვისა და მეორეული ნედლეულის უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები.

საქართველოს სსრ სახმომარაგება და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მატერიალური მარაგის მართვას, რესპუბლიკის საწარმოებს უსაფუძვლოდ აქვთ ამოღებული სამეურნეო ბრუნვიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის რესურსები. ამავე დროს საქართველოს სსრ სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომარაგებას არ გააჩნია საკმარისი რეზერვები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბევრია ისეთი ორგანიზაცია, რომლებიც დუბლირებენ საქართველოს სსრ სახმომარაგების მუშაობას და აცდენენ როგორც მუშახელს, ისევე მატერიალურ რესურსებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, სამინისტროებმა, უწყებებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 818 დადგენილება. (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და გაერთიანებებმა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების რესურსებით უზრუნველყოფისათვის მათი როლისა და პასუხისმგებლობის არსებითად ამაღლებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან და საქვეუწყებო მიმწოდებელ საწარმოებთან ერთად უზრუნველყონ:

— პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების ღრმად შესწავლა და გამოვლენა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო შეკვეთების შესაბამისად;

— პროდუქციის განაწილების გეგმების შემუშავების დასაბუთებულობის ამაღლება;

— პროდუქციის მომხმარებელთა და მწარმოებელთა შორის, აგრეთვე საწარმოთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოთა შორის ხანგრძლივი მტკიცე და ეფექტიანი სამეურნეო ურთიერთობის დამყარება.

3. საქართველოს სსრ სახმომარაგების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად რესპუბლიკაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საიმედო და ეფექტიანი სისტემის ორგანიზაცია, პროდუქციის მიწოდების საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება და საწარმოებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა მატერიალური რესურსებით მათი უზრუნველყოფის საქმეში.

4. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ:

— აქტიურად მოახდინოს ზემოქმედება წარმოებასა და მოხმარებაზე მატერიალური ხარჯებისა და მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შემცირების მიზნით. მაქსიმალურად მიაღწიოს საწარმოთა (გაერთიანებათა) თანასწორუფლებიან პარტნიორობას დადებულ ხელშეკრულებათა და ნაკისრ ვალდებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა საფუძველზე საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომხმარებელთა უზრუნველსაყოფად;

— რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართო გამოყენებით თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარება და შექმნა, რისთვისაც:

— შექმნას პროდუქციის მიწოდების საწარმოებში მატერიალური რესურსების კომპლექტური მარაგი იმ ოდენობითა და ასორტიმენტით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა საიმედო და რიტმულ მომარაგებას;

— განავითაროს საქვეუწყებო საწარმოებში ლითონის, ქიმიური, ხე-ტყისა და ქაღალდის პროდუქციის, კაბელის ნაკეთობათა და საშენ მასალათა საწარმოო მოხმარებისათვის მომზადების სიმძლავრეები, უზრუნველყოს ამ მომსახურების მოცულობის გადიდება;

— გაშალოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად საკომისიო მაღაზიების ქსელი გამოუყენებელი პროდუქციის რეალიზაციის საქმეში მომხმარებელთათვის მომსახურების გასაწევად;

— მნიშვნელოვნად გაადიდოს ხელსაწყოების, აპარატურის, მოწყობილობის, მექანიზმების, მათ შორის სამშენებლო-საგზაო მანქანებისა და სხვა ტექნიკის გაქირავება სამშენებლო სამუშაოთა, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო წესით განსახორციელებელ სამუშაოთა, შესასრულებლად;

— წარმართოს საქმიანობა საწარმოთა მომარაგებისა და მომსახურების პროგრესული ფორმების, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ფორმების განსავითარებლად, როგორიცაა საბითუმო ვაჭრობა, მომხმარებელთა კომპლექსური უზრუნველყოფა, იმ მომხმარებელთა სასაწყობო მომარაგება, რომლებიც იღებენ მატერიალურ რესურსებს სავაგონო და საკონტეინერო ნორმებზე ნაკლები ოდენობით, კომერციული, ინფორმაციული ხასიათის მომსახურების გაწევა მომხმარებელთა შეკვეთით.

5. გაძლიერდეს საქართველოს სსრ სახმომარაგების ურთიერთმოქმედება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებთან და გაერთიანებებთან სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში, რაც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ეფექტიანი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამ მიზნით საქართველოს სსრ სახმომარაგებამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშაობაში, რომელსაც ეწევა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სახელმწიფო შეკვეთებისა და ლიმიტების საკონტროლო ციფრების მოსამზადებლად, მატერიალური რესურსების ეკონომიისა და სახელმწიფო შეკვეთების ნომენკლატურული შემადგენლობის განმაზოგადებელი მაჩვენებლების შესადგენად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ ადგილობრივი მასალების წარმოებასა და მოხმარებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისპროპორციების ლიკვიდაციის მიზნით ხუთწლიანი გეგმების პროექტების მომზადების პროცესში ერთობლივად შეიმუშაონ მატერიალური რესურსების გაანგარიშებითი ბალანსები, წლიური ბალანსები და განაწილების ბალანსები საქართველოს სსრ სახმომარაგების მიერ სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგებისა და წარმოებების მოთხოვნილებათა ღრმა შესწავლის საფუძველზე.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური, ხუთწლიანი და პერსპექტიული გეგმების პროექტების შედგენისას გაითვალისწინოს ადგილობრივი მასალების წარმოების სიმძლავრეთა ზრდა (საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების სიმძლავრეთა არსებობისა და განვითარების პერსპექტივების შესაბამისად) იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს მათზე როგორც მიმდინარე, ისევე პერსპექტიულ მოთხოვნილებას მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

8. მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკურმა საუწყებათაშორისო კომისიამ საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების ორგანიზაციათა, საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით რესურსდაზოგვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისას:

— გააძლიეროს ეკონომიკური მიმართულება მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების დარგობრივი და რეგიონალური კომისიების საქმიანობაში;

— უზრუნველყოს მატერიალური რესურსების ეკონომიის დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების შემუშავებისა და ორგანიზაციისადმი საერთო ხელმძღვანელობა;

— ღრმად გააანალიზოს ახალი სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედება რესურსდაზოგვაზე და შეიმუშაოს მისი შემდგომი სრულყოფის წინადადებანი.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების ორგანიზაციებმა, საწარმოებმა და გაერთიანებებმა მიაღწიონ მატერიალური რესურსების ყოველმხრივ ეკონომიას თანამედროვე მაღალეფექტიანი მანქანების, მოწყობილობის, კონსტრუქციებისა და მასალების შემუშავებისა და წარმოების ორგანიზაციის, ნარჩენების გადამუშავების, ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების სიმძლავრეთა შექმნის, აგრეთვე უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის საფუძველზე. წარმოების გეგმების შემუშავებისას უზრუნველყონ მატერიალური რესურსების ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების გამოყენება, აგრეთვე ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ელემენტის გამოყენება რესურსების ყაირათიანად და რაც შეიძლება რაციონალური ხარჯვით, მათი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს დანაკარგების შემცირებით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისას პირველ რიგში ეცადონ მომხმარებელთა მოთხოვნები ისეთი პროდუქციის დამზადებისა და მიწოდების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს რესურსდაზოგვასა და ნარჩენების შემცირებას.

10. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ მუშაობა საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დასაჩქარებლად და მარაგის შესამცირებლად. უზრუნველყონ მარაგის რაციონალური განლაგება სახალხო მეურნეობაში, ამასთან მხედველობაში იქონიონ მისი უპირატესი კონცენტრაცია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფო სისტემაში და ამის საფუძველზე რესურსების მობილურობის ამაღლება.

11. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახმომარაგება:

— არის ცენტრალური ორგანო, რომელიც ახორციელებს სახალხო მეურნეობაში მეორეული რესურსების გამოყენებისათვის მთელი მუშაობის ორგანიზაციას აღნიშნული საქმიანობის დაგეგმვასა და კოორდინაციას;

— მეორეული რესურსების სამეურნეო ბრუნვაში აქტიური ჩართვის მიზნით, სპეციალიზებულ სიმძლავრეთა შექმნასთან ერთად, ქმნის და ავითარებს მეორეული ნედლეულის დამზადება-გადამუშავების კოოპერატივებს, აგრეთვე ხელს უწყობს ამ დარგში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ფართოდ გამოყენებას.

12. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერატივების ორგანიზაციას და მათი წარმატებული მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას.

13. საქართველოს სსრ დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობის ამაღლების, მისი მუშაობის ზუსტი ორგანიზაციის, სტრუქტურის გამარტივებისა და სამეურნეო მექანიზმის მიმდინარე გარდაქმნის შესაბამისობაში მისი მოყვანის მიზნით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 1988 წლის ბოლომდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მართვის გენერალური სქემა, ამასთან გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახმომარაგების მართვის რგოლიანობის შემცირების, როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობა.

საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფო სისტემის ოპტიმალური შეხამება დარგობრივ სისტემებთან, გაუქმდეს საუწყებო მომარაგება-გასაღების კანტორები და ბაზები, რომლებიც ეწევიან დარგთაშორისი გამოყენების პროდუქციის რეალიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციას და დუბლირებენ საქართველოს სსრ სახმომარაგების ორგანოთა საქმიანობას.

14. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ სტატისტიკომმა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემისადმი ხელმძღვანელობის ხარისხისა და ოპერატიულობის ამაღლების, მატერიალური რესურსების მართვის გაუმჯობესების და პროდუქციის მიწოდებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით შექმნან საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემა მონაცემების ავტომატიზებული გადაცემისა და დამუშავებისათვის გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენებით საერთო-საკავშირო სისტემასთან მისი შეუღლების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

15. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, იხელმძღვანელოს რა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით:

— ძირეულად გარდაქმნას მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, ამასთან მიიჩნიოს იგი სისტემის ეფექტიანი საქმიანობის გადამწყვეტ საშუალებად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დასაწინაურებელი კადრების რეზერვის მომზადებისათვის მუშაობის გაუმჯობესებას, ამასთან მხედველობაში იქონიოს საქართველოს სსრ სახმომარაგების აპარატისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების დაკომპლექტება პოლიტიკურად მომწიფებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი ღრმად გააანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით შეაფასონ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობა, დაინახონ გამოვლენილ პრობლემათა გადაჭრის პერსპექტივები და ეფექტიანი გზები, თანამიმდევრულად და დაუცხრომლად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი;

— დროულად განაახლოს ხელმძღვანელი კადრები, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ კადრების შეფასების კრიტერიუმებია მათი დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებისადმი და რეალური საქმეები მათ განსახორციელებლად;

— აამაღლოს კომიტეტის სპეციალისტთა ატესტაციის ქმედითობა მუშაკთა ინიციატივისა და აქტიურობის განსავითარებლად, მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებისათვის მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად;

— განუწყვეტლივ სრულყოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანი მეთოდების შესწავლას, მართვის ეკონომიკური მეთოდების დაუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საქართველოს სსრ სახმომარაგების პარტიულმა ბიურომ:

— ყველა კომუნისტის მთელი ყურადღება მიაპყროს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის რეალიზაციას;

— გააძლიეროს პარტიული ორგანიზაციების აქტიურობა კომუნისტების ავანგარდული როლის ასამაღლებლად, მუშაობაში საჯაროობის გასაფართოებლად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განსავითარებლად, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობაში;

— აამაღლოს მომთხოვნელობა ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისადმი, მიაღწიოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნისათვის მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელ შესრულებას, სრულყოს მუშაობის სტილი და მეთოდები, აღმოფხვრას ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აღნიშნავენ რა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნის დარგში მომავალი ამოცანების დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობასა და მასშტაბურობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მათს წარმატებით რეალიზაციას და გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და ორგანიზაციები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებები და საწარმოები, ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები და, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სსრ სახმომარაგება მიიღებენ ყოველგვარ საჭირო ზომებს იმისათვის, რათა წარმატებით გარდაიქმნას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აქტიურად დაინერგოს პრაქტიკაში სახალხო მეურნეობის მომარაგების ახალი ფორმები და მეთოდები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 26 აპრილი, № 219

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 818

1987 წლის 17 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნისა და სსრ კავშირის სახმომარაგების საქმიანობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია მოითხოვს ძირეულად გარდაიქმნას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რომელიც სახალხო მეურნეობის მართვის მთლიანი სისტემის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს და უზრუნველყოს მთელი ეკონომიკის, თითოეული გაერთიანებისა და საწარმოს ეფექტიანი და მყარი განვითარება, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება.

მომარაგებისა და გასაღების მოქმედი სისტემა არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის განვითარების გაზრდილ მოთხოვნებს, მოუქნელი და კონსერვატიულია, ეწინააღმდეგება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებს.

მატერიალური რესურსების დაგეგმვა და განაწილება მეტისმეტად ცენტრალიზებული და გართულებულია და ვერ უზრუნველყოფს წარმოებისა და მოხმარების სათანადო დაბალანსებას. ამ პირობებში ფერხდება დამამზადებელთა და მომხმარებელთა შორის ნამდვილი სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის, მომარაგების მოქნილი ფორმების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტა.

ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა საწარმოთა შორის პირდაპირმა ხანგრძლივმა სამეურნეო ურთიერთობამ. იგი წესდება ზემოდან, ხშირად ირღვევა და ბევრად ფორმალურ ხასიათს ატარებს. დაკნინებულია ხელშეკრულებათა როლი სამეურნეო ურთიერთობის დამყარებასა და გაღრმავებაში. ისინი ვერ გახდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხმარებელთა კონკრეტული შეკვეთებიდან გამომდინარე გეგმიერ-
რების, წარმოებისა და მოხმარების დაბალანსების უზრუნველყოფის ქმედითი
იარაღი.

ვერ განვითარდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ისეთი პროგ-
რესული ფორმა, როგორიცაა საბითუმო ვაჭრობა. ამის შედეგად წარმოება საკ-
მარისად არ არის ორიენტირებული კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყო-
ფილებაზე, მნიშვნელოვანი მოცულობის მატერიალური რესურსები იხარჯება
პროდუქციის გამოსაშვებად, რაც ვერ აკმაყოფილებს მყიდველებს.

მომარაგების დამკვიდრებული სისტემა მიზნად არ ისახავს რესურს-
დაზოგვას და მეორეული ნედლეულის უფრო სრულად გამოყენებას. უზრუნ-
ველყოფილი არაა მატერიალური მარაგის ეფექტიანი მართვა, საწარმოებს
უსაფუძვლოდ აქვთ ამოღებული სამეურნეო ბრუნვიდან მნიშვნელოვანი რაოდე-
ნობის რესურსები. ამავე დროს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებს არ
გააჩნიათ საკმარისი მატერიალური რეზერვები სახალხო მეურნეობის სტაბი-
ლური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახმომარაგება საჭირო ყურადღებას არ უთმობდა სამეურ-
ნეო მექანიზმის სრულყოფას, ემყარებოდა უპირატესად მართვის ადმინისტრა-
ციულ მეთოდებს, საკმარისად არ იყენებდა სამეურნეოანგარიშიან პრინციპებს
თავისი საქმიანობის ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები არ გამოდიან
მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა უზრუნველყოფის სისტემაში უმ-
ნიშვნელოვანეს რგოლად. ისინი სუსტად იცავენ მომხმარებელთა ინტერესებს
მწარმოებლის დიქტატისაგან.

მოქმედებს ბევრი არაეფექტიანი საუწყებო მომარაგება-გასაღების კანტო-
რა და ბაზა, რომლებიც დუბლირებენ სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანო-
თა მუშაობას და აცდენენ დიდძალ მუშახელს.

სსრ კავშირის სახმომარაგების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები არ
ახორციელებენ საჭირო სამუშაოებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექ-
ნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის უახლესი ფორმებისა და მეთოდების
დარგში, დაბალი ეფექტიანობით მუშაობენ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩ-
ნიათ, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველოფის სისტემის ძირეული გარ-
ღაქმნა, არსებულ ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრა, მისი შესაბამისობა
ახალ მოთხოვნებთან სახალხო მეურნეობისადმი მთელი ხელმძღვანელობის ქმე-
დითობის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
ა დ გ ე ნ ე ნ:

1. უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად ჩაითვალოს მატე-
რიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ეფექტიანი და მობილური სისტემის
შექმნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად პარ-

ტიის კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის, ამასთან განხორციელდეს 4-5 წლის განმავლობაში გადაჭრით გადასვლა მატერიალური რესურსების ცენ-ტრალიზებული ფონდებიდან და მიმწოდებლებთან მომხმარებელთა მიმაგრებიდან წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე. დაწესდეს, რომ განსაკუთრებით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე წარმოების საშუალებათა რეალიზაცია ხორციელდება ლიმიტების მიხედვით.

რადიკალურად შეიცვალოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, შეიქმნას სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა ეფექტიანი საქმიანობისათვის საჭირო პირობები და სრულად შეესაბამებოდეს ისინი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებებს.

მატერიალური რესურსებით მომარაგების სისტემამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის პრიორიტეტი სამეურნეო ურთიერთობაში, შექმნას მატერიალური რესურსების დაბალანსების ამაღლებისათვის საჭირო პირობები და ზემოქმედება მოახდინოს წარმოებასა და მოხმარებაზე დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის სამომხმარებლო თვისებათა ამაღლების მიზნით.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნის ძირითადი პრინციპები

2. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნას საფუძვლად დაედოს გადაჭრით გადასვლა მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული ფონდირებიდან და მიმწოდებლებთან მომხმარებელთა მიმაგრებიდან წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე, ცენტრალიზებული საწყისების რაციონალური შეხამება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპების ფართო განვითარებასთან. გაძლიერდეს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის დაინტერესება და პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილების სრულად და დროულად დაკმაყოფილებისათვის. გათვალისწინებულ იქნეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა შეიცავს:

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობას;

მატერიალური რესურსების ცენტრალიზებულ განაწილებას.

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პერსპექტიული და პროგრესული ფორმა, ხორციელდება მომხმარებელთა შეკვეთების მიხედვით ლიმიტებისა და ფონდების გარეშე. იგი ყველაზე სრულად შეესაბამება საწარმოთა საქმიანობას სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით და ყოველმხრივ უნდა განვითარდეს. გათვალისწინებულ იქნეს, რომ საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა ხორციელდება ეტაპობრივად და იგი საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ფორმა უნდა გახდეს, ხელი შეუწყოს შრომითი კოლექტივების ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას, დამამზადებელთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხმარებელთა შორის პირდაპირი კავშირის გაძლიერებას და საწარმოო-ტექ-ნიკური დანიშნულების პროდუქციით ბაზრის უკეთ გაჯერებას.

ცენტრალიზებული წესით ნაწილდება პროდუქცია, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წარმოების ტემპებისა და პროპორციების ფორმირებისათვის, ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდის საკვანძო ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამ პროდუქციის განაწილება ხდება ლიმიტების (ფონდების) მიხედვით. აღმოიფხვრას ცენტრალიზებული განაწილების წესით მისაწოდებელი პროდუქციის ნომენკლატურის მეტისმეტი დეტალიზაცია ზემოდან. მიენიჭოთ საწარმოებს მეტი დამოუკიდებლობა პროდუქციის ასორტიმენტის, სამომხმარებლო თვისებებისა და სახელშეკრულებო საწყისებზე მიწოდების ვადების დაკონკრეტებაში, აგრეთვე მიმწოდებელთა არჩევაში.

გათვალისწინებულ იქნეს, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების განვითარებისა და გაღრმავების კვალობაზე ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსების სფერო უნდა შემცირდეს.

განისაზღვროს, რომ პირდაპირი ურთიერთობით საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება მათ მიერ დამოუკიდებლად პირდაპირი ულიმიტო შეკვეთების მიხედვით სარეალიზაციო პროდუქციისათვის, აგრეთვე ცენტრალიზებულად გასანაწილებელი პროდუქციისათვის.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, მისი ფორმების რაციონალური შეხამება მოითხოვს საგეგმო ორგანოების, სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მჭიდრო ურთიერთმოქმედებასა და მუშაობის კოორდინაციას. ამის საფუძველზე უნდა ამაღლდეს წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმების დაბალანსება, მიღწეულ იქნეს საწარმოთა მყარი და შეუფერხებელი მომარაგება, რესურსების ეკონომია და საწარმოო მარაგის შემცირება სახალხო მეურნეობაში.

3. უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმის ორგანული კავშირი. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ:

სახალხო-სამეურნეო დანიშნულების მქონე უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ნომენკლატურას განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და დაგზავნის სახელმწიფო შეკვეთების ფორმით;

ნაკეთობათა ნომენკლატურა, რომელიც აკონკრეტებს სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას, განისაზღვრება მომხმარებელ საწარმოებთან ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებთან დამამზადებელი საწარმოების მიერ დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებებში;

საწარმოების მიერ დამოუკიდებლად, მომხმარებლებთან პირდაპირი ურთიერთობით, წარმოებული პროდუქცია რეალიზდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით.

4. დაწესდეს, რომ ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში ეროვნული იზრდება სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სახმომარაგებისა და მისი ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა საწარმოთა საწარმოო პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახმომარაგება და მისი ორგანოები სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოვალენი არიან უზრუნველყონ:

პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების ღრმა შესწავლა და გამოვლენა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო შეკვეთების შესაბამისად;

გამოვლენილ მოთხოვნილებათა შესაბამისად ამ პროდუქციის დამზადების თაობაზე შეკვეთების განაწილება საწარმოებში;

პროდუქციის განაწილების გეგმების შემუშავების დასაბუთებულობის ამაღლება;

პროდუქციის მომხმარებელთა და მწარმოებელთა შორის, აგრეთვე საწარმოთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოთა შორის ხანგრძლივი მტკიცე და ეფექტიანი სამეურნეო ურთიერთობის დამყარება.

საწარმოები თავიანთი სპეციალიზაციისა და პროფილის, ხელშეკრულებათა დადების საფუძვლად გაანგარიშებით გათვალისწინებულ მთელი პროდუქციის ღირებულების შესაბამისად მოვალენი არიან უზრუნველყონ სახელმწიფო შეკვეთების შესრულებისა და საბითუმო ვაჭრობის გზით მისი რეალიზაციისათვის საჭირო პროდუქციის წარმოება, აგრეთვე იმ ნომენკლატურის პროდუქციის ჩათვლით, რომელიც იგეგმება დამოუკიდებლად, მომხმარებელთა პირდაპირი შეკვეთების შესაბამისად.

5. საჭიროდ ჩაითვალოს გარდაიქმნას მატერიალური რესურსებით საწარმოთა მომარაგების წესი და შეუსაბამდეს იგი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებს.

საწარმოთა გეგმებში გათვალისწინებული პროდუქციის, სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები დაუგზავნიან მათ იმ სახეობათა მატერიალური რესურსების ლიმიტებს (ფონდებს), რომლებიც ნაწილდება ცენტრალიზებული წესით. აღნიშნულ ლიმიტებს (ფონდებს) სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაუგზავნიან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება.

მატერიალურ რესურსებს საბითუმო ვაჭრობისათვის განსაზღვრავენ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა შეკვეთების მიხედვით სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები. ამ მიზნით ტერიტორიული ორგანოები ადგენენ შესაბამის რესურსებზე მოთხოვნილებებს, რომლებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების ბალანსების შემმუშავებელი ორგანოები და გამოიყოფა სსრ კავშირის სახმომარაგების მეშვეობით.

საბალანსო მუშაობის როლის ამაღლება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციაში

6. გადაიქცეს მატერიალური ბალანსები და პროდუქციის განაწილების გეგმები მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის მთავარ იარაღად, თვისებრივად ამაღლდეს სახალხო მეურნეობაში მთელი საბალანსო მუშაობის დონე.

ცალკეულ სახეობათა პროდუქციის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად დააწესოს მათ მიერ, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ შესამუშავებელი მატერიალური ბალანსებისა და პროდუქციის განაწილების გეგმები და უზრუნველყოს მჭიდრო ურთიერთმოქმედება ამ ბალანსებისა და გეგმების მომზადების პროცესში.

განახორციელოს მათი შემუშავებისას მთლიანად სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგების და წარმოებების მოთხოვნილებათა ღრმა შესწავლა. გაითვალისწინოს მატერიალურ ბალანსებსა და განაწილების გეგმებში მსოფლიო დონის შესაბამისი პროგრესული მასალების, მანქანების, მოწყობილობისა და ნაკეთობების, წარმოებაში რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგების გამოყენება, სამეურნეო ბრუნვაში მეორეული ნედლეულისა და ენერგორესურსების მასშტაბური ჩართვა, აგრეთვე საწარმოო მარაგის შემცირება მისი ბრუნვადობის დაჩქარების ხაზით. გაითვალისწინოს ბალანსებში სახალხო მეურნეობის დარგების მყარი მუშაობისათვის საჭირო რეზერვები.

7. გეგმების ფორმირებაში მომხმარებელთა როლის გაძლიერების, საწარმოთა შორის პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობის ფართო განვითარების მიზნით კარდინალურად შეიცვალოს მატერიალური ბალანსებისა და განაწილების გეგმების შემუშავების სისტემა.

განხორციელდეს გადასვლა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სსრ კავშირის სახმომარაგებაში, სამინისტროებსა და უწყებებში მატერიალური ბალანსებისა და განაწილების გეგმების შედგენაზე გამსხვილებული ნომენკლატურის მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ეს ბალანსები და გეგმები უნდა წარმოადგენდეს საფუძველს არსებულ რესურსებთან სახალხო მეურნეობის და მისი უმნიშვნელოვანესი კომპლექსებისა და დარგების მოთხოვნილებათა საერთო დაბალანსების უზრუნველსაყოფად.

მატერიალურ ბალანსებსა და განაწილების გეგმებში გათვალისწინებული პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურის დეტალიზაციას ახორციელებენ საწარმოები დამოუკიდებლად. ამის საფუძველზე საწარმოები ეწევიან მუშაობას პროდუქციის მიმწოდებლებთან, ურთიერთათანხმებენ პროდუქციის ასორტიმენტს, ტექნიკურ და სამომხმარებლო თვისებებს და დებენ ხელშეკრულებებს მისი მიწოდების თაობაზე.

სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აქტიურად მონაწილეობენ ამ მუშაობაში, განიხილავენ ყველა წამოჭრილ საკითხს, იღებენ ზომებს წარმოებასა და მოხმარებას შორის დისპროპორციების თავიდან ასაცილებლად, მთლიანად აგებენ პასუხს მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციის მისაწოდებლად მისი მოთხოვნების უცილობლივ დაკმაყოფილებისათვის.

8. უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო მატერიალურ ბალანსებსა და პროდუქციის განაწილების გეგმებს შეიმუშავებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება სახელმწიფო შეკვეთების ბაზაზე.

მატერიალური ბალანსებისა და განაწილების გეგმების მომზადებისას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უნდა დაემყარონ საბითუმო ვაჭრობის ყოველმხრივ განვითარებას და გაითვალისწინონ ამ მიზნისათვის საჭირო რესურსები.

9. სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საქვეუწყებო საწარმოების ნედლეულით, მასალებით, ნახევარფაბრიკატებითა და საკომპლექტებელი ნაკეთობებით უზრუნველსაყოფად შეიმუშავებენ დარგობრივ და ტერიტორიულ ბალანსებს, აგრეთვე მონაწილეობენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ პროდუქციის კოოპერირებულ მიწოდებათა ბალანსების ფორმირებაში.

წარმოების დაგეგმვასა და მომხმარებლებთან პირდაპირი ურთიერთობით მიწოდების განვითარებაში საწარმოთა როლის ამაღლების პირობებში სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გადასცენ პროდუქციის განაწილების გეგმებისა და ბალანსების დამუშავება საწარმოებს, რომლებიც მისი ძირითადი დამამზადებლები არიან.

10. გაძლიერდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ურთიერთმოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ეფექტიანი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობა.

ამ მიზნით დაწესდეს, რომ:

სსრ კავშირის სახმომარაგება აქტიურად მონაწილეობს მუშაობაში, რომელსაც ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთებისა და ლიმიტების მოსამზადებლად, უმნიშვნელოვანესი მატერიალური რესურსების ეკონომიისა და სახელმწიფო შეკვეთების ნომენკლატურული შემადგენლობის განმაზოგადებელი მაჩვენებლების შესადგენად;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება ხუთწლიანი გეგმის პროექტის მომზადებისას შეიმუშავებენ ბალანსებს ძირითადი მატერიალური რესურსების გაანგარიშებითს ბალანსებს საკონტროლო ციფრებისა და სახელმწიფო შეკვეთების ბაზაზე წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად;

საწარმოები (გაერთიანებები), ორგანიზაციები ხუთწლიანი გეგმების დამოუკიდებელი შემუშავების პროცესში ურთიერთმოქმედებენ პროდუქციის მომხმარებლებთან და დამამზადებლებთან, აგრეთვე მომარაგების ტერიტორიულ და სხვა ორგანოებთან პერსპექტიული მოთხოვნილების განსასაზღვრავად და უზრუნველსაყოფად;

სსრ კავშირის სახმომარაგება შესაბამისი დარგებისა და ტერიტორიების მიხედვით ხუთწლიანი გეგმების პროექტების ფორმირების პროცესში მონაწილეობენ სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობაში საწარმოო სიმძლავრეთა განვითარების დაგეგმვისათვის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

სახელმწიფო შეკვეთების, შესაბამისი წლისათვის ხუთწლიანი გეგმის დავალებებისა და გაანგარიშებითი ბალანსების საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმების მომზადებისას სსრ კავშირის სახმომარაგება სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განიხილავს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა წინადადებებს მომავალ წელს პროდუქციის გამოშვების შესახებ და მიიღებს საჭირო ზომებს რესურსებზე მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე შეიმუშავებს და ამტკიცებს შესაბამის ბალანსებსა და პროდუქციის განაწილების გეგმებს.

საბითუმო ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა პროგრესული ფორმების განვითარება

11. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, რესურსების ეკონომიურად ვამოყენებისათვის მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში უზრუნველყონ გადასვლა საბითუმო ვაჭრობაზე, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითად ფორმაზე.

12. გათვალისწინებულ იქნეს, რომ საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია ზედმეტი მარაგის შემცირებისა და სახალხო მეურნეობაში მატერიალური რე-

სურსების დეფიციტის აღმოფხვრის დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია, ის საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გაძლიერდეს მომხმარებლის ზემოქმედება მწარმოებელზე, მიღწეულ იქნეს შესაბამისობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, თითოეულ საწარმოს მიეცეს რეალური შესაძლებლობა თავისი ფინანსური სახსრების ფარგლებში შეიძინოს მისი მოთხოვნილებებისა და განვითარების გეგმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს ლიმიტების (ფონდების) გარეშე მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა უზრუნველყოფის ფორმას და ახორციელებენ უშუალოდ დამამზადებელი საწარმოები ან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოები მომხმარებელი საწარმოების მიერ ამ ორგანოებში წარდგენილი პირდაპირი შეკვეთების საფუძველზე. სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიულ ორგანოებსა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობის განმახორციელებელ სხვა ორგანოებს ეკისრებათ სრული სამეურნეოანგარიშიანი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაცვისათვის, უწინარეს ყოვლისა, პროდუქციის მოცულობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და მიღების ვადების მიხედვით. მომხმარებლებს თავის მხრივ ეკისრებათ სამეურნეოანგარიშიანი პასუხისმგებლობა რესურსებზე მოთხოვნილების დაუსაბუთებელი გადიდებისა და მათი უყაირათო გამოყენებისათვის.

საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საწარმოების მოთხოვნილებათა მჭიდრო დაკავშირება წარმოების გეგმებთან, კონკრეტულ სახეობათა რესურსების შერჩევის შესაძლებლობის გაფართოება, მათ გამოყენებაში მობილურობის ამაღლება მარაგის საერთო შემცირებითა და ბრუნვადობის დაჩქარებით.

13. საბითუმო ვაჭრობის გაფართოების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ამ ფორმაზე თანამიმდევრული გადასვლის განსაზღვრის მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უახლოეს წლებში განახორციელონ გადასვლა ცალკეული ჯგუფების საქონლის წარმოების საშუალებათა ვაჭრობაზე, რომლებიც პირველ რიგში საჭიროა მოხმარების საგნების გამოსაშვებად, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და მანქანათმშენებლობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კოოპერაციის, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განსავითარებლად.

საბითუმო ვაჭრობის განსავითარებლად სახალხო მეურნეობაში მთელი შუშაობის ორგანიზაცია დაეკისროთ სსრ კავშირის სახმომარაგებასა და მის ორგანოებს, რომლებმაც მჭიდროდ უნდა ურთიერთიმოქმედონ ამ მუშაობაში სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან.

14. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სახაგრომრეწვს მისთვის ცენტრალიზებულად გამოყოფილი მატერიალური რესურსების ფარგლებში ინვესტიციებისა გაუწიოს საბითუმო ვაჭრობას საქვეუწყებო საწარმოებისათვის სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა საქმიანობის პირობებში ამ რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ასეთი ფორმის ფართოდ გამოყენება სსრ კავშირის სხვა სამინისტროებში, უწყებებში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში.

15. სამეურნეო ურთიერთობის დემოკრატიზაციის გაფართოების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების პირობებში საჭიროდ ჩაითვალოს ყოველმხრივ განმტკიცდეს პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა დამამზადებელ და მომხმარებელ საწარმოთა შორის. პირდაპირ სამეურნეო ურთიერთობას საწარმოები ამყარებენ დამოუკიდებლად, აგრეთვე მომარაგების ორგანოთა მონაწილეობით — პროდუქციისათვის, რომელიც ცენტრალიზებული წესით ნაწილდება. უზრუნველყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა როლის გაძლიერების საფუძველზე მოთხოვნების ამაღლება პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის, მისი მიწოდების რიტმულობის გასაუმჯობესებლად, საწარმოთა გეგმების შესადგენად.

მომხმარებელ საწარმოს აქვს უპირატესი უფლება შეინარჩუნოს დამკვიდრებული და გააფართოოს პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა დამამზადებლებთან და აირჩიოს მიტანის ფორმა: უშუალოდ დამამზადებლის მიერ თუ მომარაგება-გასაღების საწარმოს მეშვეობით.

16. შრომითი კოლექტივების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის საჭირო პირობების შექმნის, პროდუქციის დამზადებისას მომხმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნების უფრო სრულად აღრიცხვის და ახალი პროგრესული სახეობების ნაკეთობათა უსწრაფესად ათვისების მიზნით უფლება მიეცეთ პირდაპირ ხანგრძლივ სამეურნეო ურთიერთობაში მყოფ საწარმოებს ურთიერთგადასცენ დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მატერიალური და ფინანსური რესურსები, დააწესონ ცენტრალიზებულად განსაზღვრული საბითუმო ფასების დანამატები (ფასდაკლება) პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და კომპლექტაციის შესაცვლელად შემკვეთის დამატებითი მოთხოვნების შესრულებისათვის.

17. მატერიალური რესურსებით საწარმოთა მყარი უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ უზრუნველყოს ხელშეკრულებათა საფუძველზე განსახორციელებელი კომპლექსური მომარაგების განვითარება. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებს ამასთან ეკისრებათ ეკონომიკური პასუხისმგებლობა პროდუქციით მომხმარებელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის, მიუხედავად მისი მიწოდების ფორმებისა.

18. მართვის ეკონომიკური მეთოდებისა და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების ფართოდ გამოყენების პირობებში საბითუმო ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა პროგრესული ფორმების განვითარება მიზნად უნდა ისახავდეს საწარმოთა და

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოთა ურთიერთპასუხისმგებლობისა და დაინტერესების ამაღლებას მათი საქმიანობის შედეგებით მეურნეობის გაძღოლის ამ პირობებში არსებითად ამაღლდეს ხელშეკრულების, როგორც წარმოებასა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემას შორის ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის ძირითადი იარაღის, როლი.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებსა და საწარმოებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაუცველობისათვის და დადგენილი წესით ანაზღაურებენ მიყენებულ ზარალს.

იმ შემთხვევებში, როცა დამამზადებელი საწარმო უარს ამბობს პროდუქციის მისაწოდებლად ხელშეკრულებათა დადებაზე, მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხს წყვეტენ დამამზადებელი სამინისტრო ან სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოები.

მატერიალური რესურსებით საწარმოთა უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება

19. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში არსებითად ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი მომარაგებისა და პროდუქციის მიწოდებისადმი ქმედითი კონტროლის უზრუნველყოფისათვის. ტერიტორიული ორგანოები ნამდვილად გახდნენ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ძირითადი რგოლი, ძირეულად შეიცვალოს მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაიქცნენ დამოუკიდებელ სამეურნეოანგარიშიან საწარმოებად მწარმოებელთა და მომხმარებელთა მომსახურების, პროდუქციის შენახვისა და დამუშავების, მეორეული რესურსების გამოყენების, ფასიანი მომსახურების გაწევის, საკომისიო საწყისებზე პროდუქციის რეალიზაციის, მომარაგების შესაძლო წყაროების განსაზღვრისა და სხვა საშუამავლო ფუნქციების შესრულების დარგში.

20. სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს საწარმოებთან ერთად მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საიმედო და ეფექტიანი სისტემის ორგანიზაცია რეგიონში, სტაბილური, რაციონალური სამეურნეო ურთიერთობის დამყარება მიმწოდებელთა და მომხმარებელთა შორის, პროდუქციის მიწოდების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება და საწარმოებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა მატერიალური რესურსებით მათი უზრუნველყოფის საქმეში.

ტერიტორიულმა ორგანოებმა აქტიურად უნდა იმოქმედონ წარმოებასა და მოხმარებაზე მატერიალური დანახარჯებისა და მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შემცირების მიზნით. ისინი მაქსიმალურად უნდა გახდნენ საწარმოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაერთიანებათა) თანასწორუფლებიანი პარტნიორები დადებულ ხელშეკრულებათა და ნაკისრ ვალდებულებათა მიხედვით მომხმარებელთა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისათვის.

ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა ძირითადად მოხმარდეს საწარმოთა მომარაგებისა და მომსახურების პროგრესული ფორმების, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ფორმების განვითარებას, როგორიცაა:

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის საბითუმო ვაჭრობა;

მომხმარებელთა კომპლექსური უზრუნველყოფა პროდუქციით, მიუხედავად მისი მიწოდების ფორმებისა;

იმ მომხმარებელთა სასაწყობო მომარაგება, რომლებიც იღებენ მატერიალურ რესურსებს სავაგონო და საკონტეინერო ნორმებზე ნაკლები ოდენობით;

საწარმოო, კომერციული, საინფორმაციო ხასიათის მომსახურების გაწევა მომხმარებელთა შეკვეთით.

დაწესდეს, რომ იმ პროდუქციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, რომლის მომარაგებასაც კისრულობენ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები, ისინი უდებენ მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს ხელშეკრულებებს, რომლებშიც განისაზღვრება ურთიერთპასუხისმგებლობა ვალდებულებათა შესრულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად.

21. სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უზრუნველყოს ტერიტორიული ორგანოების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარება და შექმნა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართო გამოყენებით.

ამ მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ:

შექმნას ტერიტორიულ ორგანოთა საწარმოებში მატერიალური რესურსების კომპლექტური მარაგი იმ ოდენობითა და ასორტიმენტით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა საიმედო და რიტმულ მომარაგებას;

გააფართოოს დასახარისხებელ საწარმოთა ქსელი იქ, სადაც საჭირო ასორტიმენტის მასალებისა და ნაკეთობების კონცენტრაციით;

განავითაროს საქვეუწყებო საწარმოებში ლითონის, ქიმიური, ხე-ტყისა და ქაღალდის პროდუქციის, კაბელის ნაკეთობებისა და საშენი მასალების საწარმოო მოხმარებისათვის მომზადების სიმძლავრეები, უზრუნველყოს ამ მომსახურების მოცულობის გადიდება;

ორგანიზაცია გაუწიოს ტერიტორიულ ორგანოებში საწარმოთა საინფორმაციო მომსახურებას ახალი მასალებისა და ნაკეთობების გამოსაყენებლად, მათი შეძენის პირობებისა და რაციონალური გამოყენების მიმართულებათა მიხედვით;

გაშალოს საკომისიო მაღაზიების ქსელი გამოუყენებელი პროდუქციის რეალიზაციის საქმეში მომხმარებელთათვის მომსახურების გასაწევად;

მნიშვნელოვნად გაადიდოს ხელსაწყოების, აპარატურის, მოწყობილობის, მექანიზმების, მათ შორის სამშენებლო-საგზაო მანქანებისა და სხვა ტექნიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქირავება სამშენებლო სამუშაოთა, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო წესით განსახორციელებელ სამუშაოთა, შესასრულებლად.

22. სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის, საიმედო და მყარი მომარაგებისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით გადაყვანილ იქნენ 1988 წელს ზემოაღნიშნული ორგანოები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. ტერიტორიული ორგანოების მუშაობის გარდაქმნისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

გამოირიცხოს დაგეგმვის პრაქტიკიდან ტერიტორიული ორგანოების მუშაობის ორგანიზაციისადმი „მთლიანი" მიდგომის საორიენტაციო მაჩვენებლები, მათი საქმიანობა შეფასდეს, უწინარეს ყოვლისა, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებიდან გამომდინარე;

ტერიტორიული ორგანოების სამეურნეო საქმიანობას საფუძვლად დაედოს სამეურნეოანგარიშიანი მიდგომა, როგორც მათი მუშაობის უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებელი და საწარმოო და სოციალური განვითარების მთავარი წყარო;

მიენიჭოთ მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს ფართო უფლებანი სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის გამოყენებაში, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური რესურსებით საწარმოთა მომარაგების სამუშაოთა და მომსახურების მოცულობის გასაფართოებლად;

შეიქმნას მომარაგების პროგრესული ფორმების, უწინარეს ყოვლისა, საბითუმო ვაჭრობის განვითარების დაჩქარებისათვის საჭირო პირობები.

23. მომხმარებელთა მომსახურების ეფექტიანი ამაღლებით სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოთა ეკონომიკური დაინტერესების გაძლიერების, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების უფრო სრულად გამოყენების მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ და სსრ კავშირის ფასსახკომმა გადასინჯონ მომარაგება-გასაღების ფასდანამატებისა და ფასდაკლების, აგრეთვე მომარაგების ამ ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების ტარიფების განსაზღვრისა და გამოყენების წესი.

რესურსდაზოგვისათვის მუშაობის გაძლიერება

24. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნა მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური რესურსების ყოველმხრივ ეკონომიასა და საწარმოო მარაგის შემცირებას, მეორეული ნედლეულის მაქსიმალურ ჩართვას სამეურნეო ბრუნვაში, ეკონომიურ და რესურსდამზოგველ სახეობათა პროდუქციის წარმოების უპირატეს განვითარებას.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა მიაღწიონ მატერიალური რესურსების ყოველმხრივ ეკონომიას თანამედროვე მაღალეფექტიანი მანქანების, მოწყობილობის, კონსტრუქციებისა და მასალების შემუშავებისა და წარმოების ორგანიზაციის, ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ნარჩენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასამუშავებელ სიმძლავრეთა შექმნის, აგრეთვე უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ მატერიალური ბალანსები და პროდუქციის განაწილების გეგმები სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების რაც შეიძლება სრული ეკონომიის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა უზრუნველყონ წარმოების გეგმების შემუშავებისას მატერიალური რესურსების ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების, აგრეთვე ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ელემენტის გამოყენება რესურსების ყაირათიანად და რაც შეიძლება რაციონალურად ხარჯვის, მათი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს დანაკარგების შემცირებით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად.

საწარმოებმა სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისას პირველ რიგში შეასრულონ მომხმარებელთა მოთხოვნები ისეთი პროდუქციის დამზადებისა და მიწოდების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს რესურსდაზოგვას და ნარჩენების შემცირებას.

25. რესურსდაზოგვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისას სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ:

გააძლიეროს მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების კომისიების საქმიანობის ეკონომიკური მიმართულება;

უზრუნველყოს მატერიალური რესურსების ეკონომიის დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების შემუშავებისა და ორგანიზაციისადმი საერთო ხელმძღვანელობა;

ღრმად გააანალიზოს ახალი სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედება რესურსდაზოგვაზე და შეიმუშაოს წინადადებანი მისი შემდგომი სრულყოფისათვის;

შექმნას მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების საუწყებათაშორისო კომისიასთან რესურსდაზოგვის პრობლემათა სამეცნიერო საბჭო. შეიყვანოს საბჭოს შემადგენლობაში სახალხო მეურნეობის დარგების თვალსაჩინო სპეციალისტები და მეცნიერები.

26. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახმომარაგება არის ცენტრალური ორგანო, რომელიც ახორციელებს სახალხო მეურნეობაში მეორეული რესურსების გამოყენებისათვის მთელი მუშაობის ორგანიზაციას, აღნიშნული საქმიანობის დაგეგმვასა და კოორდინაციას.

სსრ კავშირის სახმომარაგება სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსების აქტიურად ჩართვის მიზნით სპეციალიზებულ სიმძლავრეთა შექმნასთან ერთად ქმნის და ავითარებს მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების კოოპერატივებს ყველა რესპუბლიკაში, აგრეთვე ხელს უწყობს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ფართოდ გამოყენებას ამ დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სამინისტროების ტერიტორიულმა ორგანოებმა გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ზემოაღნიშნული კოოპერატივების ორგანიზაციას და მათი წარმატებული მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას.

27. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ მუშაობა საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დასაჩქარებლად და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შესამცირებლად, ამასთან მიაღწიონ წარმოების ზრდის მყარ დაჩქარებას მატერიალური მარაგის გადიდებასთან შედარებით. უზრუნველყონ მარაგის რაციონალური განლაგება სახალხო მეურნეობაში, ამასთან მხედველობაში იქონიონ მისი უპირატესი კონცენტრაცია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფო სისტემაში და ამის საფუძველზე რესურსების მობილურობის ამაღლება.

სსრ კავშირის სახმომარაგების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება

28. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახმომარაგება, როგორც ცენტრალური ეკონომიკური ორგანო, მთლიანად აგებს პასუხს ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისათვის, საბითუმო ვაჭრობის რეგულირებისა და მისდამი კონტროლისათვის მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების, მართვის დემოკრატიული საფუძვლების გაფართოების და საწარმოთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესაბამისად.

29. სსრ კავშირის სახმომარაგება მოვალეა:

ყოველმხრივ განავითაროს მართვის ეკონომიკური მეთოდები, საბითუმო ვაჭრობა, საწარმოთა შორის პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა და მომარაგების სხვა პროგრესული ფორმები, ორგანიზაცია გაუწიოს თავისი ორგანოების საქმიანობას სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით;

კარდინალურად გააუმჯობესოს მუშაობა სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან მატერიალურ რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, დაიცვას პროდუქციის მომხმარებელთა ინტერესები;

განუხრელად განახორციელოს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომიის, მეორეული ნედლეულის უფრო სრულად გამოყენების, რესურსების ბრუნვადობის დაჩქარების ხაზი და კოორდინაცია გაუწიოს ამ მუშაობას სახალხო მეურნეობაში;

მიიღოს ქმედითი ზომები პროდუქციის მიწოდების დისციპლინის განმტკიცების, საწარმოებისა და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა განუხრელი დაცვის უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახორციელოს ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური და საინვესტიციო პოლიტიკა სასაწყობო მეურნეობის განსავითარებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროდუქციის არარაციონალური გადაზიდვის აღმოფხვრას, პროგრესულ სახეობათა ტარის, პაკეტებითა და კონტეინერებით გადაზიდვის დანერგვას, მხედველობაში იქონიოს, რომ მკვეთრად შემცირდეს პროდუქციის დანაკარგები ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს;

გააძლიეროს მეთოდიკური ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობის დარგებში პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების ორგანოებისადმი. შეუსაბამოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგის ყველა ნორმატიული დოკუმენტი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებსა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს.

30. სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობის ამაღლების, მისი მუშაობის ზუსტი ორგანიზაციის, სტრუქტურის გამარტივებისა და ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნასთან შესაბამისობის მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რეპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 1989 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მართვის გენერალური სქემა. ამასთან გაითვალისწინოს, რომ საჭიროა შემცირდეს მართვის რგოლიანობა, ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი რგოლის, როლი და პასუხისმგებლობა.

საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფო სისტემის ოპტიმალური შეხამება დარგობრივ სისტემებთან; გაუქმდეს საუწყებო მომარაგება-გასაღების კანტორები და ბაზები, რომლებიც ეწევიან დარგთაშორისი გამოყენების პროდუქციის რეალიზაციას და დუბლირებენ სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოთა საქმიანობას; რაციონალურად განლაგდეს საწარმოები და ორგანიზაციები ქვეყნის რეგიონების მიხედვით და ოპტიმალური გახდეს სატრანსპორტო ურთიერთობა; მიღწეულ იქნეს ამის საფუძველზე მიმოქცევის ხარჯების შემცირება.

31. გაუმჯობესდეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. მიღებულ იქნეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმომარაგების წინადადება იმის შესახებ, რომ რუსეთის სფსრ სახმომარაგება გარდაიქმნას ორმაგი დაქვემდებარების — სსრ კავშირის სახმომარაგებისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსადმი — საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ დაამუშავონ რუსეთის სფს რესპუბლიკაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოების საწარმოთა და ორგანიზაციათა პროფილი და სპეციალიზაცია.

32. სსრ კავშირის სახმომარაგება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე ახორციელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭიდრო ურთიერთმოქმედებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან კომპლექსებში შემავალი დარგების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, უწინარეს ყოვლისა, უმაღლესი მსოფლიო დონის შესაბამის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან ურთიერთმოქმედების პროცესში მიღწეულ უნდა იქნეს აგრეთვე მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი ახალი რესურსდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაქმნელად და ფართოდ დასანერგად, გადაწყდეს დარგთაშორისი გამოყენების პროდუქციის წარმოების სპეციალიზაციისა და განვითარების და სამინისტროთაშორისი კოოპერირებული მიწოდების ორგანიზაციის საკითხები.

33. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემისადმი ხელმძღვანელობის ხარისხისა და ოპერატიულობის ასამაღლებლად, მატერიალური რესურსების მართვისა და პროდუქციის მიწოდებისადმი კონტროლის გასაუმჯობესებლად სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შექმნას საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემა მონაცემების ავტომატიზებული გადაცემისა და მათი დამუშავებისათვის გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ გამოყენებით.

ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს სსრ კავშირის სახმომარაგების მართვის ავტომატიზებული სისტემის შემდგომი განვითარება, მისი ურთიერთმოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საწარმოების ავტომატიზებულ სისტემებთან.

34. ამაღლდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში მეცნიერული კვლევის დონე და ეფექტიანობა. სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის სამეცნიერო ორგანიზაციათა საქმიანობა ძირითადად მოხმარდეს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულყოფის პრობლემათა აქტუალური მეცნიერული კვლევის, სასაწყობო სამუშაოთა მოწინავე ტექნოლოგიისა და პროდუქციის საპაკეტო-საკონტეინერო ტრანსპორტირების წესების შესაქმნელად საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განვითარებას.

შეიქმნას სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარესთან ეკონომიკურ მრჩეველთა ჯგუფი თვალსაჩინო მეცნიერთა და სპეციალისტთა შემადგენლობით.

35. ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა.

ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ სსრ კავშირის სახმომარაგება და მისი ორგანოები მოვალენი არიან:

უზრუნველყონ პირდაპირი ურთიერთობის პრიორიტეტული განვითარება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მატერიალურ-

ტექნიკური მომარაგების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ამოიღონ შექმნან მეორეული ნედლეულის გადამუშავების, ტარის დამზადებისა და რემონტის, სასაწყობო მექანიზაციის საშუალებათა წარმოების ერთობლივი საწარმოები;

ორგანიზაცია გაუწიონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ღრმა შესწავლის საფუძველზე პროდუქციის რაც შეიძლება რაციონალურ საექსპორტო-საიმპორტო მიწოდებას, საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის რესურსების პირველ რიგში გამოყოფას, სავალუტო სახსრების მაღალ ეფექტიანობასა და რაციონალურ ხარჯვას;

განახორციელონ ოპერატიული კონტროლი და უზრუნველყონ საექსპორტო პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება;

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე გაცვალონ გეგმების შესრულების მსვლელობაში გამოთავისუფლებული პროდუქცია.

36. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჭიროა არსებითად გამარტივდეს მართვის სტრუქტურა და შემცირდეს მისი რგოლიანობა, გაუქმდეს მადუბლირებელი ორგანიზაციები, ამაღლდეს კრებსითი და ფუნქციური ეკონომიკური ქვედანაყოფების როლი როგორც ცენტრში,ისევე ადგილებზე, გაფართოვდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ყველა ორგანოს უფლებანი და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის მომარაგების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკითხთა გადასაწყვეტად.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფო სისტემის საქმიანობაში დარგთაშორისი და ფუნქციური მიმართულების გაძლიერების და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან, ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებთან, მართვის დარგობრივ და ტერიტორიულ ორგანოებთან მისი რაც შეიძლება ეფექტიანი ურთიერთმოქმედებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციულ სტრუქტურას საფუძვლად დაედოს მსხვილი დარგთაშორისი კომპლექსები.

37. სსრ კავშირის სახმომარაგების კოლეგიამ, იხელმძღვანელოს რა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ძირეულად გააუმჯობესოს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, ამასთან მიიჩნიოს იგი სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ეფექტიანი საქმიანობის გადამწყვეტ საშუალებად. მიიღოს ქმედითი ზომები მუშაკთა პროფესიული დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, სსრ კავშირის სახმომარაგების წინაშე დასახული ახალი ამოცანების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დასაწინაურებელი კადრების ლეზერვის მომზადებისათვის მუშაობის გაუმჯობესებას, ამასთან მხედველობაში იქონიოს სსრ კავშირის სახმომარაგების აპარატის, მისი ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოების დაკომპლექტება პოლიტიკურად მომწიფებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი ღრმად გააანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით შეაფასონ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობა, დაინახონ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გამოვლენილ პრობლემათა გადაჭრის პერსპექტივები და ეფექტიანი გზები, თანამიმდევრულად და დაუცხრომლად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

დროულად განაახლოს ხელმძღვანელი კადრები, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ კადრების შეფასების კრიტერიუმებია მათი დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებისადმი და რეალური საქმეები მათ განსახორციელებლად.

აამაღლოს სსრ კავშირის სახმომარაგების სპეციალისტთა ატესტაციის ქმედითობა მუშაკთა ინიციატივისა და აქტიურობის განსავითარებლად, მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებისათვის მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

განუწყვეტლივ სრულყოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანი მეთოდების შესწავლას, მართვის ეკონომიკური მეთოდების დაუფლებას.

38. სსრ კავშირის სახმომარაგების პარტიულმა კომიტეტმა დაუცხრომლად იბრძოლოს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სრულყოს პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. კომუნისტების, სსრ კავშირის სახმომარაგების ყველა მუშაკის ღონისძიებანი მოახმაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის სტრატეგიული კურსის რეალიზაციას.

აამაღლოს პარტიული ორგანიზაციის როლი და აქტიურობა სსრ კავშირის სახმომარაგების მუშაობის გარდასაქმნელად, კადრების შესარჩევად, გასანაწილებლად და აღსაზრდელად, ამ საქმეში საჯაროობის გასაძლიერებლად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განსავითარებლად.

გააძლიეროს მომთხოვნელობა ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისადმი. მიაღწიოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნისათვის მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელ შესრულებას. სრულყოს მუშაობის სტილი და მეთოდები, აღმოფხვრას ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი.

გაძლიერდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ყველა ორგანოს პარტიული ორგანიზაციების აქტიურობა კომუნისტების ავანგარდული როლის ასამაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლად, მუშაობაში საჯაროობის გასაფართოებლად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განსავითარებლად.

*

* *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, საწარმოები (გაერთიანებები), სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახმომარაგება, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მიიღებენ ყოველგვარ საჭირო ზომებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის გარდასაქმნელად, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის სტრატეგიული კურსის წარმატებული რეალიზაციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გორბაჩოვი**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

29 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური სახლების მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას და ხელმძღვანელობენ პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული იმ პროგრამით, რომ 2000 წლისათვის თითოეული საბჭოთა ოჯახი უზრუნველყოფილ იქნეს ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით, და მისი გადაჭრის დაჩქარების, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის არსებითი გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 თებერვლის № 197 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 თებერვლის № 197 დადგენილება „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად 1988 წელს განსაზღვროს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად მოქალაქეთათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობა, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის ფართობი და სართულიანობა და საჭიროების კვალობაზე შეიტანოს წინადადებანი განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1988 წელს უზრუნველყონ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობების შესახებ სანიმუშო დებულების შემუშავება და დამტკიცება.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ მონაწილეობა 1988 წელს ამ დებულების შემუშავებაში.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ჩაატარონ 1988 წელს ღია რესპუბლიკური კონკურსი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტების შესამუშავებლად;

— გაითვალისწინონ ამ პროექტებში ადგილობრივი ეროვნულ-საყოფაცხოვრებო ტრადიციები და მენაშენეთა სურვილები, გამოიყენონ ხალხური ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი მემკვიდრეობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყონ ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანების ტაიონების არქიტექტურის, მათი კეთილმოწყობისა და გამწვანების ხარისხობრივი დონის ამაღლება;

— გადასინჯონ ნორმატიული დოკუმენტები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხებზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ თანამედროვე მოთხოვნებსა და ინდივიდუალურ მენაშენეთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

5. საქართველოს სსრ სახმშენმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად 1988 წლის პირველი ნახევრის ბოლომდე გულდასმით გააანალიზოს რესპუბლიკის ქალაქების (მათ შორის აგრეთვე ქალაქ თბილისის), ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმები და განსაზღვროს ტერიტორიები და ცალკეული ნაკვეთები, მათ შორის საგარეუბნო ზონებშიც, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად, ცალკეული მიკრორაიონებისა და კვარტალების განაშენიანების ეკონომიკური და არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე. ამასთან საჭიროა გაითვალისწინოს, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (ბინების) მშენებლობა ქალაქ თბილისში, ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში ძირითადად უნდა ხორციელდებოდეს ნაკლებმჭიდრო განაშენიანების მეთოდით როგორც ახლად გასანაშენიანებელ ტერიტორიებზე, ისევე სარეკონსტრუქციო ზონებში დაძველებული და ავარიული საბინაო ფონდის ლიკვიდაციის გზით და რომ ქალაქ თბილისის სარეკონსტრუქციო ზონაში ინდივიდუალური საცხოვრებლის მშენებლობისას ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობებში შესვლის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ასაღებ საბინაო ფონდში მცხოვრები მოქალაქენი (ოჯახები) ან ის პირები, რომლებიც აბარებენ თავიანთ ბინებს მათ ჩასასახლებლად.

6. დაეკსროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ქალაქთმშენებლობის მთავარ სამმართველოებთან, სამმართველოებთან და განყოფილებებთან არსებულ სამეურნეოანგარიშიან საპროექტო-საწარმოო არქიტექტურულ-საგეგმარებელ ბიუროებს გაუწიონ ინდივიდუალურ მენაშენეებს ფასიანი მომსახურება მიწის ნაკვეთების გამოყოფის, საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების, ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციის უზრუნველყოფის საქმეში.

მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და ნება დაერთოს მას შექმნას აღმასკომთან საშუამავლო სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს მოსახლეობისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობების შეკვეთით, ფასიანი მომსახურების გაწევის წესით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოთა მთელ ციკლს შესაბამის სახელმწიფო ან კოოპერაციულ საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახმშენმა შეიმუშაოს 1988 წელს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა პრეისკურანტები.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1988-1989 წლებში უზრუნველყონ რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და რეგიონების ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტების ილუსტრირებული კატალოგ-ეტალონების შემუშავება და გამოცემა.

8. მოწონებულ იქნეს ზომები, რომელთაც იღებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი იმისათვის, რათა განავითაროს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საწარმოო ბაზა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დაინტერესებულ საწარმოებთან ერთად სამშენებლო ინდუსტრიის ერთობლივ საწარმოთა შექმნის გზით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარგებამ მიიღონ ზომები 1989-1990 წლებში ინდივიდუალური სახლთმშენებლობის სამშენებლო ინდუსტრიის იმ საწარმოთა დაკომპლექტებისათვის საჭირო მანქანებისა და მექანიზმების გამოსაყოფად, რომლებიც იქმნება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან დაინტერესებულ საწარმოებთან ერთად, აღმასკომის დასაბუთებული განაცხადების მიხედვით.

9. საშენ მასალებზე, ნაკეთობებსა და მოწყობილობაზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყონ მათი საბაზრო ფონდების სათანადო გადიდება.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის ყველა წინანდელი გადაწყვეტილება, რომლებიც ზღუდავდნენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა სამი თვის ვადაში მოამზადონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 26 აპრილი, № 220

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 197

1988 წლის 11 თებერვალი

მოსკოვი, კრემლი

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს 2000 წლისათვის თითოეული საბჭოთა ოჯახის უზრუნველყოფას ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის არსებითად გაფართოებას და მისი ხარისხის ამაღლებას. ამ სახის მშენებლობა არა მარტო საშუალებას იძლევა ოჯახს მიეცეს მისი მოთხოვნილებების შესაბამისი საცხოვრებელი, არამედ აგრეთვე ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი წარმოებისათვის საკარმიდამო მეურნეობათა განვითარებას, თავისი სახლისადმი მზრუნველურ დამოკიდებულებას, ბავშვებისა და ახალგაზრდების შრომითს აღზრდას, ოჯახის განმტკიცებასა და კადრების დამკვიდრებას.

ამავე დროს ბევრ მოკავშირე რესპუბლიკასა და ქვეყნის რაიონში დაშვებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისადმი ყურადღების სერიოზული შესუსტება, რის შედეგადაც მისი მოცულობა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით უკანასკნელ 25 წელიწადში 3-ჯერ შემცირდა და ამჟამად საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის საერთო მოცულობის 15 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საბალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც უმთავრესად ორიენტაცია აქვთ აღებული სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, არ იღებენ საჭირო ზომებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების, ნაკვეთების გამოყოფის, მათი საინ-

ჟინრო მოწყობის, ადგილობრივი საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების გადიდების. ინდივიდუალურ მენაშენეთათვის დახმარების გაწევის ძეხნით. ადგილებზე ჯერ კიდევ არასწორ, ხშირად არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას იჩენენ ინდივიდუალური მენაშენისადმი.

საწარმოები და ორგანიზაციები სუსტად იყენებენ მათთვის მინიჭებულ ფართო შესაძლებლობებს — დახმარება გაუწიონ თავიანთ მუშაკებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, რაც სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

მოქმედი კანონმდებლობა და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის პირობების განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტები მეტისმეტად გართულებულია, შეიცავს დაუსაბუთებელ შეზღუდვებს და ამით აფერხებს მის გაფართოებას. ინდივიდუალური მენაშენეები დიდ სიძნელეებს განიცდიან ნაკვეთების გამოყოფის გაფორმების, პროექტების შერჩევისა და დამტკიცების, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კრედიტების მიღების, საშენ მასალათა შეძენისა და გადატანის, სახლების მშენებლობის, რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა განხორციელების დროს. არასაკმარისია მიცემული კრედიტების ოდენობა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების პროგრამით, და საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ:

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ყოველმხრივი განვითარება მიიჩნიონ უპირველესი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ფაქტორის გააქტიურებასთან, ეროვნული სიმდიდრის ზრდასა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასთან;

უმოკლეს ვადებში უზრუნველყონ ინდივიდუალური სახლების მშენებლობის მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესება, მიაღწიონ მისი მოცულობის არსებითად გადიდებასა და ხარისხის ამაღლებას მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ამასთან გამოიჩინონ ინიციატივა და სიბეჯითე იმისათვის, რათა გამონახონ და გამოიყენონ საამისოდ რესპუბლიკებში, ადგილებზე და საწარმოებში არსებული მთელი რეზერვები.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

2. დაეკისროთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს პა-

სუხისმგებლობა საქვეუწყებო ტერიტორიაზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაჩქარებისათვის, ინდივიდუალური სახლის აშენების ინიციატორუქციის მსურველი ოჯახების მოთხოვნილებათა უსწრაფესად დაკმაყოფილებისათვის.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშავეს საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რათა გაადიდონ 1988-1990 წლებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოცულობა მეთორმეტე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულ დავალებებთან შედარებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ 1991-1995 წლებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გაფართოების მთლიანად ქვეყანაში 200 მილიონ კვადრატულ მეტრ საერთო ფართობამდე, მათ შორის 1995 წელს — არანაკლებ 60 მილიონ კვადრატულ მეტრ საერთო ფართობამდე.

3. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

გააუქმონ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ნაკვეთების გამოყოფის დაუსაბუთებელი შეზღუდვები, მათ შორის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, ამასთან გაითვალისწინონ ქალაქის მცხოვრებ ინდივიდუალურ მენაშენეთათვის ნაკვეთების გამოყოფა საგარეუბნო ზონაშიც;

შეიტანონ ქალაქების, დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გენერალურ გეგმებში დაზუსტებანი, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალური განაშენიანებისათვის ტერიტორიების გამოყოფასთან, და უზრუნველყონ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ტერიტორიების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების საჭირო ობიექტების შესაბამისი განლაგებით;

განახორციელონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა გენერალური გეგმების, დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს განისაზღვროს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად მოქალაქეთათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობა, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის ფართობი და სართულიანობა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიტანონ საჭიროების კვალობაზე შესაბამისი წინადადებანი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში.

შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულების პროექტი „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობისათვის მოქალაქეთა უფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების და „ბუნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 აპრილის ბრძანებულების 1-ლი მუხლის ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“.

4. მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ პირველ რიგში საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის აღრიცხვაზე მყოფ პირებს და უწინარეს ყოვლისა წარმოების მოწინავეებს, დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, აგრეთვე შრომის ვეტერანებსა და მოქალაქეებს, რომლებიც გადასცემენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მათ მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში დაკავებულ საცხოვრებელ სადგომებს.

5. დაწესდეს, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ტერიტორიები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მისასვლელი გზებით, წყალმომარაგებით, ელექტროენერგიით, გაზით (გაზმომარაგებით უზრუნველყოფილ რაიონებში) და ადგილობრივი პირობების შესაბამისად კანალიზაციითა და თბომომარაგებით, აგრეთვე სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებით საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა სახსრების (შრომითი კოლექტივების თანხმობით), სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ბიუჯეტების და ინდივიდუალურ მენაშენეთა სახსრების ხარჯზე.

6. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი იდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობების შექმნას.

დაწესდეს, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობები შეიძლება შეიქმნას საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ინდივიდუალურ მენაშენეთა საკუთარი სახსრების ხარჯზე და კრედიტების დახმარებით საცხოვრებელი სახლების ერთობლივი (ურთიერთდახმარების საწყისებზე) მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რემონტისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობების შესახებ სანიმუშო დებულებების შემუშავება და დამტკიცება 1988 წელს.

7. საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მათს რეკონსტრუქციასა და რემონტს ახორციელებენ სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები სამეურნეო წესით და თვით მენაშენეები. ზემოაღნიშნული სამუშაოები საიჯარო და სამეურნეო წესით შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურ მენაშენესთან ან ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობასთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებით.

დაწესდეს, რომ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ და სამეურნეო წესით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის სამუშაოთა ღირებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რომელსაც ანაზღაურებენ ინდივიდუალური მენაშენეები, შედისაწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობაში.

ინდივიდუალურ მენაშენეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით გაფართოვდეს და დაიხვეწოს საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების მუშაობის პრაქტიკა. დაწესდეს, რომ ზემოაღნიშნული კოოპერატივების საქმიანობა ხორციელდება იმ წესითა და პირობებით, რომელთაც ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 თებერვლის № 161 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოოპერატივების შექმნის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1987 წ., № 11, მუხ. 43).

8. მოწონებულ იქნეს ყაზახეთის სსრ და ლიტვის სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, აგრეთვე სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოების მიერ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ორგანიზაციისათვის მუშაობის გამოცდილება.

რჩევა მიეცეთ:

საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს — სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მუშაკებს ინდივიდუალური სახლების მშენებლობაში და, კერძოდ, მუშაკთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრები მოახმარონ უწინარეს ყოვლისა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ტერიტორიების გზებით უზრუნველყოფასა და საინჟინრო მოწყობას, ფართოდ გამოიყენონ თავიანთი მუშაკებისათვის საშენი მასალებისა და ნაკეთობების, მოწყობილობისა და ტრანსპორტის გამოყოფის დადებითი გამოცდილება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტისათვის სახელშეკრულებო პირობებით მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმის ანგარიშში;

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს — გაუწიონ ანალოგიური დახმარება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა და ბიუჯეტზე არსებულ არასაწარმოო სფეროს სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს, აგრეთვე დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან აღმასკომებში აღრიცხვაზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებისა და დაფინანსების სხვა დაწესებული წყაროების ხარჯზე;

კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — გაუწიონ ასეთი დახმარება საკუთარი სახსრების ხარჯზე.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების წესის სრულყოფის შესახებ

9. ინდივიდუალური მენაშენეების მატერიალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით განხორციელდეს მათთვის კრედიტების მიცემის პირობების განვითარებისა და გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება დაერთოს სსრ კავშირის შემნახველ ბანკს მისცეს კრედიტები მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ:

სოფლად:

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — 20 ათას მანეთამდე ოდენობით, იმ ვარაუდით, რომ იგი დაიფაროს 50 წლის განმავლობაში, მოყოლებული მესამე წლიდან სესხის მიღების შემდეგ;

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტისათვის, საინჟინრო ქსელებთან მათი მიერთებისათვის, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის მოსავლელ და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახ საეზოე ნაგებობათა მშენებლობისათვის — 4 ათას მანეთამდე ოდენობით, იმ ვარაუდით, რომ იგი დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, მოყოლებული მესამე წლიდან სესხის მიღების შემდეგ;

ბ) ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში:

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — 20 ათას მანეთამდე ოდენობით, იმ ვარაუდით, რომ იგი დაიფაროს 25 წლის განმავლობაში, მოყოლებული მესამე წლიდან სესხის მიღების შემდეგ;

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტისათვის, საინჟინრო ქსელებთან მათი მიერთებისათვის, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის მოსავლელ და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახ საეზოე ნაგებობათა მშენებლობისათვის — 3 ათას მანეთამდე ოდენობით, იმ ვარაუდით, რომ იგი დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, მოყოლებული მესამე წლიდან სესხის მიღების შემდეგ;

გ) ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებში და სოფლად:

მოქალაქეთაგან საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები შესასყიდად — ნაგებობათა საბალანსო (ნარჩენი) ღირებულების ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 20 ათასი მანეთისა, 25 წლამდე ვადით, იმ ვარაუდით, რომ დაფარვა დაიწყოს სესხის მიღების შემდეგ მომდევნო წლიდან;

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის საინჟინრო გამართვისათვის მოწყობილობის შესაძენად — 1 ათას მანეთამდე ოდენობით, იმ ვარაუდით, რომ იგი დაიფაროს 3 წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის კრედიტებს ინდივიდუალურ მენაშენეებს მათი პირადი ვალდებულებების მიხედვით მისცემენ უშუალოდ სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებანი.

კრედიტები მიეცემათ პირველ რიგში მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

10. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-9 პუნქტში აღნიშნული კრედიტებით სარგებლობისათვის სოფლად მცხოვრები მოქალაქენი უხდიან სსრ კავშირის შემნახველ ბანკს წლიურ 2 პროცენტს, ხოლო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებნი — წლიურ 3 პროცენტს.

დიდი სამამულო ომის ინვალიდები და მონაწილენი, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები და მათთან გათანაბრებული პირები თავისუფლდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტების გადახდისაგან. ზემოაღნიშნული პირები, აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახები ამ დადგენილების მეოთხე პუნქტში გათვალისწინებულ სესხს ფარავენ მოყოლებული მეხუთე წლიდან მისი მიღების შემდეგ.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის შემნახველ ბანკს გადაახდევინოს ვადამდე არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებული სესხების დავალიანება, ამასთან დაურიცხოს წლიური 12 პროცენტამდე მიღებული კრედიტის მთელ თანხაზე.

11. რჩევა მიეცეთ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაუდონ (შრომითი კოლექტივების თანხმობით) თავიანთ მუშაკებს ხელშეკრულებანი მათ მიერ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიღებული ბანკის კრედიტების დავალიანების დასაფარავად სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი აღემატება 5 წელს, დავალიანების 10 პროცენტამდე, 10 წელს — 30 პროცენტამდე და 15 წელს — 50 პროცენტამდე ოდენობით.

ზემოაღნიშნული შეღავათები უნდა გავრცელდეს უწინარეს ყოვლისა მუშაკებზე, რომლებიც გამოირჩევიან უმწიკვლო და კეთილსინდისიერი შრომით და დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკურ განვითარებაში. ცალკეულ შემთხვევებში შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით კრედიტის დავალიანების დაფარვა შეიძლება განხორციელდეს მეტი ოდენობით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ასეთივე წესითა და ოდენობით მოახდინონ იმ კრედიტების დაფარვა, რაც მიეცათ ზემოაღნიშნული მიზნებისათვის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა და ბიუჯეტზე არსებულ არასაწარმოო სფეროს სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს, აგრეთვე დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან აღმასკომებში აღრიცხვაზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებისა და დაფინანსების სხვა დაწესებული წყაროების ხარჯზე.

12. ნება დაერთოთ სოფლად განლაგებულ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, აგრეთვე რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მიჰყიდონ თავიანთ მუშაკებს საბელმწიფო კაპიტალური დაბანდებების, მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების და ბანკების კრედიტების ხარჯზე აშენებული საეზოენაგებობებიანი საკარმიდამო ტიპის საცხოვრებელი სახლები, იმ ვარაუდით, რომ ზემოაღნიშნულმა მუშაკებმა აანაზღაურონ საწარმოში, ორგანიზაციაში შრომისადმი დამოკიდებულებისა და მუშაობის სტაჟის შესაბამისად და შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის ღირებულების არანაკლებ 40 პროცენტი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად 50 წლის განმავლობაში მიყიდვის დღიდან.

ქალაქად განლაგებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიჰყიდონ თავიანთ მუშაკებს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების, საკუთარი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე აშენებული საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლები, იმ ვარაუდით, რომ მუშაკებმა აანაზღაურონ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომისადმი დამოკიდებულებისა და მუშაობის სტაჟის შესაბამისად და შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის ღირებულების არანაკლებ 50 პროცენტი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად 25 წლის განმავლობაში მიყიდვის დღიდან.

ამასთან საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაკები და კოლმეურნეები, რომლებიც მიატოვებენ სამუშაოს ან გავლენ კოლმეურნეობიდან არასაპატიო მიზეზით ჩასახლების დღიდან 25 წლის გასვლამდე, მოვალენი არიან:

ან ჩააბარონ საწარმოს (დაწესებულებას, ორგანიზაციას, კოლმეურნეობას) საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლი. ამასთან საწარმო (დაწესებულება, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა) უნაზღაურებს ყოფილ მუშაკებს საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლისათვის გადახდილ თანხებს ნაგებობის ცვეთის ღირებულების გამოქვითვით საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობით;

ან აუნაზღაურონ საწარმოს (დაწესებულებას, ორგანიზაციას, კოლმეურნეობას) საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გაწეული დანახარჯები ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან მიღებული დახმარების ოდენობით. შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით ასანაზღაურებელი დანახარჯების ოდენობა შეიძლება შემცირდეს.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის სრულყოფის შესახებ

13. საჭიროდ ჩაითვალოს კარდინალურად ამაღლდეს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხარისხი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ინდივიდუალურ მენაშენეთათვის საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ-საგეგმარებელი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

უზრუნველყონ 1988-1989 წლებში მშენებლობის სხვადასხვა პირობისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ახალი პროექტების შემუშავება, ამასთან გაითვალისწინონ სახლების არქიტექტურის ხარისხის, ვარგისობისა და ხანგამძლეობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების შემცირება, ადგილობრივი საშენი მასალებისა და მონოლითური კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება;

გაითვალისწინონ ამ პროექტებში ადგილობრივი ეროვნულ-საყოფაცხოვრებო ტრადიციები და მენაშენეთა სურვილები, გამოიყენონ ხალხური ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი მემკვიდრეობა;

უზრუნველყონ ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანების რაიონების არქიტექტურის, მათი კეთილმოწყობისა და გამწვანების ხარისხობრივი დონის ამაღლება;

გადასინჯონ და დაამტკიცონ 1988 წლის პირველ ნახევარში ნორმატიული დოკუმენტები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხებზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ამ მშენებლობისადმი თანამედროვე მოთხოვნებს და ინდივიდუალურ მენაშენეთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

14. დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მთავარ სამმართველოებთან, სამმართველოებთან და განყოფილებებთან არსებულ სამეურნეოანგარიშიან საპროექტო-საწარმოო არქიტექტურულ-საგეგმარებელ ბიუროებს გაუწიონ ინდივიდუალურ მენაშენეებს ფასიანი მომსახურება მიწის ნაკვეთების გამოყოფის, საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების, ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციის უზრუნველყოფის საქმეში. მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებმა შეიმუშაონ 1988 წელს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა პრეისკურანტები.

ნება დაერთოთ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება საპროექტო კოოპერატივებს ან ცალკეულ კვალიფიციურ არქიტექტორებსა და ინჟინრებს, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის ნებართვის საფუძველზე, შემკვეთის სახსრების ხარჯზე.

15. საშენ მასალებზე, ნაკეთობებსა და მოწყობილობაზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მათი საბაზრო ფონდების სათანადო გადიდება.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

განახორციელონ კონდიციონირებული სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის ობიექტების მშენებლობის ძირითადი საშენი მასალებით, კონსტრუქციებითა და ნაკეთობებით თვითუზრუნველყოფისათვის, ამასთან გაითვალისწინონ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საჭირო მასალებზე. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების დაჩქარებულ განვითარებას, მათი წარმოების კოოპერაციული ფორმების ორგანიზაციასა და გამოყენებას, კერძოდ, სამრეწველო ნარჩენების ბაზაზე;

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის“ ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ ძირეულ გაუმჯობესებას ინდივიდუალური მენაშენეებისათვის საშენ მასალათა და ნაკეთობათა მიყიდვისა და მიტანის ორგანიზაციის საქმეში;

უზრუნველყონ, რომ გამოუყონ დადგენილი წესით ტყესაკაფი [illegible] საშენი მასალები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ამ მეურნეობების მუშაკთათვის საეზოსაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

სსრ კავშირის ბანკებმა მისცენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს კრედიტები საშენ მასალათა და ნაკეთობათა საკუთარი წარმოების შექმნისა და გაფართოების სამუშაოთა განსახორციელებლად. კრედიტი დაიფაროს საშენ მასალათა და ნაკეთობათა წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების ხარჯზე ზემოაღნიშნულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ 5 წლის განმავლობაში ამ კრედიტით სარგებლობის მთელი დროისათვის გაცემული კრედიტის თანხის 3 პროცენტი წლიურის გადახდით.

16. სსრ კავშირის სახმშენმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საკედლე მასალების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აგურისა და კრამიტის წარმოების სიმძლავრეთა შექმნას.

სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ:

უზრუნველყოს 1988 წელს წელიწადში 5 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრის კომპლექტური (შენობა და მოწყობილობა) მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული აგურის ქარხნის პროექტის შემუშავება საკონკურსო საფუძველზე და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსთან ერთად მიაწოდოს 1988 წელს 2 და 1989 წელს 10 ასეთი ქარხანა პირველ რიგში სოფლისათვის, ხოლო მოყოლებული 1990 წლიდან განახორციელოს მათი დამზადება და მიწოდება საჭირო რაოდენობით;

შეიმუშაოს 1988 წელს კრამიტის წარმოების მცირე სიმძლავრის ქარხნის პროექტი და მოყოლებული 1989 წლიდან უზრუნველყოს ამ ქარხნების კომპლექტური მიწოდება.

17. ნება დაერთოთ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს მიჰყიდონ ნაღდ ანგარიშზე თავიანთ მუშაკებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად საშენი და მოსაპირკეთებელი მასალები, ინსტრუმენტები, სადურგლო ნაკეთობანი და კავეული, ცალკეული დეტალები საცალო ფასებში, ხოლო თუ ეს ფასები დაწესებული არაა, — საბითუმო ფასებში ან შეთანხმებულ ფასებში, იმ ვარაუდით, რომ გაყიდულ მასალათა და ნაკეთობათა ღირებულება შევიდეს მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობაში.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ ასეთი მასალებისა და ნაკეთობების მიყიდვა ზემოაღნიშნული პირობებით იმ ორგანიზაციათა მუშაკებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საშენ მასალათა და ნაკეთობათა მიტანის მომსახურება, რომელსაც უწევენ მოქალაქეებს ნაღდ ანგარიშზე საწარმოები და გაერთიანებანი, მათ შორის სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციები, ასევე შედის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობაში.

18. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს 1988 წელს საუკეთესო პროექტების საფუძველზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამხმარე სახელმძღვანელოების, სხვადასხვა კონსტრუქციის, კონსტრუქციული გადაწყვეტილებებისა და სახლების საინჟინრო მოწყობილობის ილუსტრირებული ალბომების შემუშავება.

სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს 1988-1989 წლებში ზემოაღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ალბომების გამოშვება მასობრივი ტირაჟით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრენველყონ ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და რეგიონების ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტების ილუსტრირებული კატალოგების შემუშავება და გამოცემა.

19. სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიერონ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის პროპაგანდა პრესაში, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში და უზრუნველყონ მოსახლეობის ფართო ინფორმაცია ამ სახის მშენებლობის, როგორც ქვეყანაში საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების, მიზნების, ამოცანებისა და შესაძლებლობების შესახებ.

20. გაუქმდეს სსრ კავშირის მთავრობის ყველა წინანდელი გადაწყვეტილება, რომლებიც ზღუდავდნენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებას.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახბანკმა სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ორი თვის ვადაში მოამზადონ და წარმოუდინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების საწინააღმდეგო ყველა წინანდელი აქტის დროულად გადასინჯვა და გაუქმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებაში და ამით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გორბაჩოვი**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

30 საქართველოს სსრ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფა-ცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომების დაწესების შესახებ

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში სანიმუშო საწარმოო ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად მათი საქმიანობის სტიმულირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საწარმოო ყოფა-ცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციისათვის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა კოლექტივების დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომები და გაიცეს ფულადი პრემიები თითოეული 5 ათას მანეთამდე ოდენობით წელიწადში 40 ათას მანეთამდე საერთო თანხით.

ფულადი პრემიები გაიცეს მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1986 წლის 22 ოქტომბრის № 675 დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფა-ცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომის შესახებ.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომები მიეკუთვნებათ ყოველწლიურად, მოყოლებული 1988 წლიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით 1 მაისისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომის მოსაპოვებლად მასალები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოო ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის შრომითი კოლექტივის საქმიანობას, წარედგინება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს ყოველი წლის არა უგვიანეს 1 მარტისა სამინისტროთა, უწყებათა კოლეგიებისა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების ერთობლივი გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესაბამის დარგობრივ განყოფილებებთან შეთანხმებით. მასალები რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა ზემდეგით წარედგინება დარგობრივ პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების გადაწყვეტილებით.

4. დაწესდეს, რომ პრემიის თანხა იხარჯება საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტისა და ადმინისტრაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით საწარმოო ყოფა-ცხოვრების ობიექტების მუშაკთა, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა, მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკთა, კოლმეურნეთა, საზოგადოებრივ კონტროლიორთა, პროფკავშირის კომიტეტის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიისა და შრომის დაცვის კომისიის წევრთა წასახალისებლად, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს საწარმოო ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომებით რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების დაჯილდოების თაობაზე წინადადებათა მოსამზადებლად შეიქმნას სამუშაო კომისია დანართის თანახმად გათვალისწინებული შემადგენლობით.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა განახორციელონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმისათვის, რათა გააცნონ რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივს ეს დადგენილება და დებულება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფა-ცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომის შესახებ.

7. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სააგენტომ, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა თავიანთ გადაცემებსა და მასალებში ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 21 მარტი, № 129

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1988 წლის 21 მარ-
ტის № 129 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფა-ცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომები დაწესებულია თითოეულ საამქროში, თითოეულ საწარმოო უბანზე, ყველა ცვლის მომუშავეთათვის საწარმოო ყოფა-ცხოვრების საუკეთესოდ დაყენებისათვის საწარმოთა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა კოლექტივების წახალისების მიზნით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომები მიეკუთვნებათ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა კოლექტივებს, რომლებშიც:

— დასაჯდომი ადგილების რაოდენობა მუშათა სასადილოებში აყვანილია დაწესებულ ნორმატივამდე (250 ადგილი 1000 მომუშავეზე მაქსიმალურ ცვლაში);

— საგარდერობოების, საშხაპეების, ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახების რაოდენობა აყვანილია დაწესებულ ნორმატივებამდე, ორგანიზებულია სპეტანსაცმლის რეცხვა და ქიმიური წმენდა;

— ორგანიზებულია დიეტური კვება, ნახევარფაბრიკატების, კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვა, აგრეთვე სასურსათო საქონელზე წინასწარი შეკვეთების მიღება და გაცემა;

— უზრუნველყოფილია სასადილოების, სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სადგომების (საგარდერობოების, საშხაპეების, ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახების), საწარმოო ყოფა-ცხოვრების სხვა ობიექტების სანიმუშო სანიტარიული მოვლა-შენახვა, მათი აღჭურვა მოწყობილობით, ინვენტარით;

— ორგანიზებულია ცხელი კვება საღამოსა და ღამის ცვლებში მომუშავეთათვის, აგრეთვე შეღავათიანი და სპეციალური კვება (იქ, სადაც ეს საჭიროა);

— ორგანიზებულია სასათბურე-საკვალსათბურე და დამხმარე სასოფლო მეურნეობანი, ღორის სუქება და ა. შ., ხორციელდება მუშაობა ამ მეურნეობათა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის;

— ორგანიზებულია მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, უწევენ ფასიან საყოფაცხოვრებო მომსახურებას ბინების შეკეთების, საბაღე სახლების მშენებლობისა და შეკეთების, ხის ჩარჩოებისა და კარების, რკინის კონსტრუქციების დამზადების მიზნით და ა. შ.;

— ფართოდ ინერგება სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების პროგრესული ფორმები;

— ორგანიზებულია ქმედითი მუშური კონტროლი საწარმოო ყოფა-ცხოვრების ობიექტებისადმი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომები გადაეცემათ ადგილებზე საზეიმო ვითარებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რესპუ-
ბლიკური საბჭოს 1988 წლის 21
მარტის № 129 დადგენილების დანართი

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომებით რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების დაჯილდოების თაობაზე წინადადებათა მოსამზადებლად სამუშაო კომისიისა

ტ. ვ. როსტიაშვილი	— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარე;
მ. ა. მაკარაშვილი	— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგე (კომისიის მდივანი);
ვ. ი. ვოლნი	— სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ მღარავი;
თ. ი. მოსაშვილი	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი კონსულტანტი;
ვ. ა. ჟიდკო	— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საბინაო-საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგე;
რ. გ. ქეცბაია	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მძიმე მრეწველობისა და ენერგეტიკის განყოფილების გამგე;
ნ. პ. შარაშენიძე	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე;
ი. დ. ცინცაძე	— საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

31 იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 სექტემბრის № 601 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ ინსტრუქციის შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს იმ მუშაკთა კატეგორიების თანდართული ნუსხა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის ყველა გადაწყვეტილება, რომლებითაც წინათ დამტკიცებული იყო იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხები, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებირვი საცხოვრებელი ფართობი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 1 მარტი, № 97

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 1 მარტის № 97 დადგენილ-
ლების დანართი

ნუსხა

იმ მუშაკთა კატეგორიებისა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები

თევზის მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა აგრონომები, ვეტექიმები, საუბნო ვეტსამკურნალოთა გამგეები, ზოოტექნიკოსები, ბრიგადირები

მეაკუმულატორეები

მეანტენე-მეანძეები

მეაპარატეები

ასენიზატორები

მებულდოზერეები

მბურღავები

ბურღვის ოსტატები

ვახტიორები

სპეციალური დანიშნულების მანქანათა მძღოლები

მეწყალსადენეები

მეგალვანეები

სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა არანაკლებ მე-5 თანრიგის მაღალკვალიფიციური მუშები

სადაბო და სასოფლო სამედიცინო დაწესებულებათა მთავარი ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალი

სანატორიუმების, პანსიონატებისა და დასასვენებელი სახლების მთავარი ექიმები, ექიმები, მედდები, მედრეგისტრატორები, სანიტრები, ბიოქიმიკოსები, მებაღეები, ოფიციანტები (კვების ბლოკისა) და მზარეულები

მტვირთავები

მეეზოვეები

ნაკრძალების, აღკვეთილებისა და სამონადირეო მეურნეობათა დირექტორები, მთავარი ნადირობისმცოდნეები, ნადირობისმცოდნეები, სამონადირეო უბნების უფროსები, მეტყევეები და ეგერები

ეროვნული პარკებისა და ბუნების მუზეუმების დირექტორები

სატყეოებისა და სატყეო უბნების დირექტორები, მეტყევეები (ყველა პროფილისა), მეტყევეთა თანაშემწეები, ოსტატები, ყოველგვარ სატყეო და სატყეო-საპარკო გაერთიანებათა და მეურნეობათა ტყის მცველები

დისპეტჩერები

საყოფაცხოვრებო მომსახურების სასოფლო პუნქტების გამგეები, ბრიგადირები, ამ პუნქტების მიმღებები

კბილმჭრელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა და ორგანიზაციათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობასთან კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ინსპექტორ-ორგანიზატორები, პედაგოგ-ორგანიზატორები, ინსტრუქტორ-მეთოდისტები

მეკაბელე-მჩრჩილავები

საერთო საცხოვრებელთა და სხვა საზოგადოებრივ-სამსახურებრივ შენობათა კომენდანტები

საქვაბეებისა და თბოსადგურების მეცეცხლურები და ცეცხლფარეშები

მხურავები

მჭედლები — ურიებითა და წნეხებით მომუშავენი

ლაბორანტები

ჩამომსხმელები

ლიფტიორები

მემანქანეები (ყველა პროფილისა)

მექანიკოსები (ყველა პროფილისა)

მემონტაჟეები (ყველა პროფილისა)

მონტიორები (ყველა პროფილისა)

სასოფლო კავშირგაბმულობის განყოფილებათა უფროსები

გასამხედროებული და პროფესიული სახანძრო ნაწილების უფროსები, მათი მოადგილეები, ყარაულის უფროსები

მატერიალური რეზერვების ტერიტორიული სამმართველოს პროდუქციის შესანახი უბნების უფროსები და მათი მოადგილეები, მტვირთავები

ნავთობისა და გაზის მრეწველობის პარტიათა, საამქროთა, უბანთა უფროსები და მათი მოადგილეები

საინჟინრო კომუნიკაციათა შემომვლელები

ოპერატორები (ყველა პროფილისა)

მრჩილავები (ყველა პროფილისა)

ფოსტალიონები

მეხელსაწყოები (ყველა პროფილისა)

პროგრამისტები (ყველა პროფილისა)

სადაბო და სასოფლო აფთიაქების პროვიზორები და საშუალო ფარმაცევტული პერსონალი

გასამხედროებული დაცვისა და გასამხედროებულ-სამაშველო რაზმებისა და ნაწილების მუშაკები

რკინიგზათა მუშაკები სსრ კავშირის გზათა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით

სანტექნიკოსები

შემდუღებლები (ყველა პროფილისა)

ზეინკლები (ყველა პროფილისა)

მაზუთის ჩამსხმელ-ჩამომსხმელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა თანხმობით სხვა ქალაქებიდან დროებით სამუშაოზე მოწვეული სპეციალისტები

მეჩარხეები

საწარმოთა რკინიგზის ლიანდაგებზე მატარებელთა შემდგენლები

ტელეგრაფისტები

თერმისტები

ხარატები

ტრაქტორისტები

შინაგან საქმეთა ორგანოების უბნის ინსპექტორები

გემის, გემთშემკეთებელი და გემთსაშენებელი ქარხნების მფრეზავები, მილმღუნავები, გემთამწყობები, მღებავები

მეექსკავატორეები

ელექტრიკოსები

ელექტრონიკოსები

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ენერგეტიკოსები და თბოტექნიკოსები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

32 აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის სახელი:

— ქალაქ თბილისის № 166 საშუალო სკოლას;

— ქალაქ გორის № 3 საშუალო სკოლას.

2. დაწესდეს:

— აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის სახელობის ერთი პრემია 2 ათასი მანეთის ოდენობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდიდან, რომელიც მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომებს თეორიული და გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმცოდნეობისა და მანქანათმშენებლობის დარგში;

— აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდიდან მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოამზადოს და გამოსცეს ა. დ. ნადირაძის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ამსახველი წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის სახელი;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა კლარა ცეტკინის ქუჩის № 146 სახლს, რომელშიც ცხოვრობდა აკადემიკოსი ა. დ. ნადირაძე.

5. გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიაკუთვნოს ქალაქ გორის ერთ-ერთ ქუჩას აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის სახელი.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიაკუთვნოს ერთ-ერთ მშენებარე ტანკერს აკადემიკოს ა. დ. ნადირაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი 1988 წ. 4 მარტი, № 99

ეროვნული ბიბლიოთეკა

33 აკადემიკოს ა. გ. შანიძის სახელის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებლის აკაკი გაბრიელის ძე შანიძის სახელის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ა. გ. შანიძის სახელი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა კ. კეკელიძის ქუჩის № 1 სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ა. გ. შანიძე.

2. სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა მიაკუთვნოს ა. გ. შანიძის სახელი ქ. სამტრედიის ერთ-ერთ ქუჩას.

3. მიეკუთვნოს ა. გ. შანიძის სახელი სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღის საშუალო სკოლას.

4. ეთხოვოს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიაკუთვნოს აკაკი შანიძის სახელი ერთ-ერთ მშენებარე გემს.

5. დაწესდეს აკაკი შანიძის სახელობის:

— ერთი პრემია 1500 მანეთის ოდენობით, საუკეთესო ენათმეცნიერულ-ფილოლოგიური ნაშრომისათვის, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ მიანიჭებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული პრემიის დებულება;

— ორი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის, თითოეული — 100 მანეთის ოდენობით, უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

6. დაიდგას ა. გ. შანიძის ბიუსტი მის საფლავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახსრებით.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ა. გ. შანიძის შრომების კრებულის ადრე დადგენილი 12-ტომეულის ნაცვლად გამოსცენ 14-ტომეული, დამატებული ორი ტომიდან ერთი ტომი გამოსცეს გამომცემლობა „მეცნიერებამ“, ხოლო მეორე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 14 მარტი, № 109

ეროვნული ბიბლიოთეკა

34 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საუწყებათაშორისო რესპუბლიკური ფაკულტეტის შექმნის შესახებ

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის წინაშე დასახული ახალი პასუხსაგები ამოცანების გადასაწყვეტად მშენებლობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ეკონომიკური მომზადების სისტემის ძირეული გაუმჯობესების მიზნით, „სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის გარდაქმნის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის № 166 დადგენილების, სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1987 წლის 9 იანვრის № 1/1, აგრეთვე 1988 წლის 9 იანვრის № 2/2-13 გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატმა:

— შექმნან 1988 წლის 1 აპრილიდან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საუწყებათაშორისო რესპუბლიკური ფაკულტეტი შემდეგი მიმართულებებით — მშენებლობის ეკონომიკა, მშენებლობის ტექნოლოგია, სამშენებლო ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის მართვა; სახელმწიფო მიღების პირობებში სამუშაოთა წარმოებისათვის მეთოდოლოგიური ან ტექნიკური მომზადება, ამასთან მხედველობაში იქონიონ შემდგომი მისი შეყვანა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთიანი დარგთაშორისი ინსტიტუტის შემადგენლობაში;

— დააამტკიცონ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დებულება მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საუწყებათაშორისო რესპუბლიკური ცენტრის შესახებ;

— დააპროექტონ 1988 წელს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ძალებით ცენტრის სასწავლო კორპუსი ინსტიტუტის არსებულ ტერიტორიაზე;

— სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით გაგზავნონ მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტთან არსებულ მშენებლობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ცენტრალურ საუწყებათაშორისო ინსტიტუტში მასწავლებელთა ჯგუფი სტაჟირების გასავლელად და გამოცდილების შესასწავლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყონ 1988 წელს წარმოებისაგან მოწყვეტითა და მოწყვეტლივ პროგრამის მიხედვით 1300-მდე კაცის კვალიფიკაციის ამაღლება შემდგომ გაადიდონ მოსწავლეთა რიცხვი მომდევნო წლებში საჭიროების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა, საქმთავარწყალმშენმა, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარმა სამმართველომ, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა უწყებებმა:

— წილობრივ საწყისებზე გამოუყონ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საჭირო სახსრები საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე ცენტრის სასწავლო კორპუსის ასაშენებლად, მატერიალური ბაზის შესაქმნელად და მოწყობილობითა და სასწავლო თვალსაჩინოებებით აღსაჭურვად, აგრეთვე 500-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის ასაშენებლად;

— უზრუნველყონ საერთო საცხოვრებლით მსმენელები, რომლებიც იმაღლებენ კვალიფიკაციას წარმოებისაგან მოწყვეტით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1989—1991 წლების კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების განსაზღვრისას გაითვალისწინოს ცენტრის სასწავლო კორპუსის მშენებლობა და სასწავლო ინვენტარზე ცენტრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1989—1991 წლებში ცენტრის სასწავლო კორპუსის მშენებლობა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე.

5. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატმა სასწავლო კორპუსის აშენებამდე უზრუნველყოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრი დროებითი ფართობებით სწავლების განსახორციელებლად.

6. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— უზრუნველყონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრი შესაბამისი ფართობებით და ხელი შეუწყონ მათს აღჭურვაში;

— დარგობრივი და რესპუბლიკური ორგანიზაციების, „ორგტექმშენისა“ და სხვა ტრესტების საქმიანობის კოორდინაციის გზით უზრუნველყონ კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა მთელი საჭირო ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ინფორმაციით კადრების ეკონომიკური მომზადებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის საკითხებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შექმნან მშენებლობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომსახურეობისათვის ალგორითმებისა და პროგრამების ფონდი.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ 1988—1990 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის საჭირო ლიმიტების გამოყოფა ცენტრის სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და ფონდებისა — ტექნიკური მოწყობილობისა და შესაბამისი მასალების შესაძენად.

8. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განიხილოს და გადაწყვიტოს ცენტრის საჭიროებისათვის ერთი კომპლექტი გასამრავლებელი ტექნიკის შეძენის საკითხი.

9. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, სამშენებლო კომპლექსის ორგანიზაციებმა და უწყებებმა:

— განახორციელონ მშენებლობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვა, გაითვალისწინონ კადრების მომზადების დაკავშირება სკკპ XXVII ყრილობის, მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებითა და სადირექტივო ორგანოების მითითებებით განსაზღვრული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ამოცანებთან;

— განსაზღვრონ მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხები იმისათვის, რათა გამოიყენონ ისინი სწავლების პროცესში მეცადინეობათა ჩატარებისათვის საყრდენ პუნქტებად;

— სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების, თანამდებობრივი სარგოების შეცვლისა და ახალ თანამდებობებზე დანიშვნის დროს გაითვალისწინონ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ცენტრში მათი სწავლების შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 17 მარტი, № 120

35 საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პრეისკურანტების დამტკიცების წესის შესახებ

„საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პრეისკურანტების დამტკიცების წესის დაუსტების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ნოემბრის № 1331 დადგენილების შესასრულებლად და საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პრეისკურანტების განხილვის წესის გამარტივებისა და მათი დამტკიცების ვადების შემცირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მასობრივი განაშენიანების საცხოვრებელი სახლების, სასკოლო შენობების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, კინოთეატრების, კლუბებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის პრეისკურანტებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, და ისინი სამოქმედოდ შემოიღება საქართველოს სსრ სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 15 ოქტომბრის № 1424 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 22 მარტი, № 133

ეროვნული ბიბლიოთეკა

36 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის და ეკონომიკის მართვის ძირეულ გარდაქმნასთან დაკავშირებით მიღებული სხვა აქტების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 7 აპრილი, № 154

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 7 აპრილის № 154 დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ნოემბრის № 783 დადგენილება „საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციათა ტიპობრივი სტრუქტურის, მათი ტიპობრივი შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილება „საქართველოს სსრ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა ტიპობრივი შტატების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 აგვისტოს № 620 დადგენილება „სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მუშაკთა პრემირების ფონდის შექმნის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 6 ივნისის № 386 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ივნისის № 405 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 1 დანართის II თავის მე-20 პუნქტი, V თავის მე-8 პუნქტი, № 2 დანართის II თავის 23-ე პუნქტი, № 3 დანართის მე-11, მე-12, მე-13 და 22-ე პუნქტები, ხოლო № 1 დანართის მე-16 პუნქტიდან და № 2 დანართის მე-19 პუნქტიდან ამოღებულია სიტყვები „პირველი კვარტალის გასვლის შემდეგ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

37 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის თაობაზე სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მე-2 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტები, მე-8 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

2. მე-5 და მე-6 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 9 აპრილის № 211 დადგენილებისა „რესპუბლიკაში ადგილობრივი ნედლეულის რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პარფიუმერია-კოსმეტიკის მრეწველობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და ამ დადგენილების № 1 და 2 დანართები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი. 1988 წ. 7 აპრილი, № 153

38 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონთან და ეკონომიკის მართვის გარდაქმნის თაობაზე სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 7 აპრილი, № 155

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 7 აპრილის № 155 დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 66 დადგენილება „თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოსა და მის საწარმოებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილება „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 ივლისის № 340 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 ივლისის № 372 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 თებერვლის № 99 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხუთი საწარმოს 1969 წლის 1 იანვრიდან დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 147 დადგენილება „1969 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის 31 საწარმოს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 ივნისის № 344 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 67 საწარმოს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 ივნისის № 347 დადგენილება „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი სამრეწველო საწარმოს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 30 ივნისის № 380 დადგენილება „სოციალისტური სახელმწიფოს საწარმოს დებულების საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ გამოყენების თავისებურებათა შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 23 მარტის № 343 დადგენილებით დამტკიცებული სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველოს დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების გავრცელების ნაწილში.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 12 აპრილის № 227 დადგენილება „საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სისტემის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 2 მარტის № 114 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „საქვენახდაცვის“ შექმნის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილების მოქმედების გავრცელების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

39 მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მიყიდვის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებასთან და სარემონტო სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებით ნედლეულსა და მასალებზე მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში 1987 წლიდან ფუნქციონირებს ქ. თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში 4 მაღაზია და 4 განყოფილება, რომლებიც ეწევიან საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმომარაგებისა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების მიერ მიწოდებული წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების რეალიზაციას.

რესურსების, წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების უფრო სრულად გამოყენებისათვის სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციათა საქმიანობის შემდგომი გააქტიურების, მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების მაქსიმალური გაფართოების მიზნით და „მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მიყიდვის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 თებერვლის № 225 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— მიიღონ ზომები, მოყოლებული 1988 წლიდან, საწარმოების (გაერთიანებების) მიერ მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მიყიდვის გასაფართოებლად მომზადებული სახით, რაც დააკმაყოფილებს მყიდველთა მოთხოვნებს;

— გაითვალისწინონ მეცამეტე ხუთწლედის განმავლობაში თითოეულ საწარმოსთან (გაერთიანებასთან), სადაც წარმოიქმნება გადაუმუშავებელი ნარჩენები მნიშვნელოვანი მოცულობით, საჭირო რაოდენობის მაღაზია-საწყობების შექმნა ზემოაღნიშნული საქონლის გასაყიდად.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ცეკავშირის გამგეობასთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად შექმნას 1988-1989 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში მაღაზიები და განყოფილებანი წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების გასაყიდად, დანართის თანახმად.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ გეგმათა პროექტების შემუშავებისას საწარმოების (გაერთიანებების) მიერ სარეალიზაციო წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების, აგრეთვე მოსახლეობისათვის მათ მიყიდვასთან დაკავშირებით გასაწევი ფასიანი მომსახურების მოცულობა.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, ცეკავშირის გამგეობასთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

— უზრუნველყოს ყოველწლიურად რესპუბლიკური და საოლქო ბაზრობების ჩატარება მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში არსებული წარმოების ნარჩენების, მათგან დამზადებული საქონლის, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მისაყიდად, აგრეთვე მათი ნიმუშების მუდმივმოქმედი გამოყენების ორგანიზაცია;

— ხელი შეუწყოს წარმოების ნარჩენების პირველადი დამუშავებისა და გაკეთილშობილების და მათი რეალიზაციის კოოპერატივების ორგანიზაციას.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1988 წლის 17 თებერვლის № 225 დადგენილებით „მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მიყიდვის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“:

— დააწესა, რომ:

საწარმოების (გაერთიანებების) მიერ მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების რეალიზაციის მოცულობა საცალო ვაჭრობის საწარმოების მეშვეობით მათი გაყიდვისას ჩაითვლება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შესრულებაში, ხოლო უშუალოდ მომხმარებელთათვის მიყიდვისას — მოსახლეობისათვის

ფასიანი მომსახურების რეალიზაციის დავალებათა შესრულების მოცულობაში; საწარმოთა (გაერთიანებათა) ტრანსპორტით მოსახლეობისათვის (კოოპერატივებისათვის) მათი მიტანის ღირებულება დატვირთვა-გამოტვირთვის სამუშაოთა ღირებულების გათვალისწინებით აგრეთვე შედის მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის დავალებათა შესრულების მოცულობაში;

მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის რეალიზებული წარმოების ნარჩენების მოცულობა ამავე დროს ჩაეთვლებათ საწარმოებს (გაერთიანებებს) შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და სხვა სახეობათა მეორეული ნედლეულის ჩაბარების გეგმების და მათი გამოყენების დავალებათა შესრულებაში;

საწარმოების (გაერთიანებების) მიერ უშუალოდ მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის რეალიზებული წარმოების ნარჩენების, აგრეთვე ამ რეალიზაციასთან დაკავშირებული ნარჩენების ღირებულებას აანაზღაურებენ მომხმარებლები ნაღდ ანგარიშზე დაწესებულ ფასებში, ხოლო თუ ფასები დაწესებული არაა, — თვით საწარმოთა (გაერთიანებათა) მიერ განსაზღვრულ ფასებში;

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოები იძენენ წარმოების ნარჩენებს, არაკონდიციურ მასალებსა და ნაკეთობებს საწარმოებისაგან (გაერთიანებებისაგან) შეთანხმებულ ფასებში და ასაღებენ მათ ვაჭრობის საწარმოთა მიერ დაწესებულ ფასებში;

წარმოების ნარჩენები, არაკონდიციური მასალები და ნაკეთობები შეიძლება მიჰყიდონ ვაჭრობის საწარმოებმა ინტერნატებს, სკოლებს, ბავშვთა სახლებს, სასწავლებლებს, ტექნიკისა და პიონერთა სახლებს, ბავშვთა შემოქმედებით დაწესებულებებს, იმ ვარაუდით, რომ მათი გაყიდვის მოცულობა შევიდეს საცალო საქონელბრუნვის შემადგენლობაში;

— დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს ყოველწლიურად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განაცხადების მიხედვით მსუბუქი კონსტრუქციების მოდულის ტიპის შენობათა გამოყოფა მათში წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების გასაყიდი მაღაზია-საწყობების მოსათავსებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 13 აპრილი, № 161

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 13 აპრილის № 161 დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1988-1989 წლებში მოსახლეობისათვის, კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური მასალებისა და ნაკეთობების მისაყიდად მაღაზიებისა და განყოფილებების ორგანიზაციისა

(ერთეული)

	1988 წელი	1989 წელი
საქართველოს სსრ — სულ	15	15
მათ შორის:		
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში	11	9
აქედან:		
აფხაზეთის ასსრ	2	1
აჭარის ასსრ	1	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	—	1
ქ. თბილისი	3	2
ქ. ქუთაისი	1	1
ქ. რუსთავი	1	—
ქ. ფოთი	—	1
ქ. ზუგდიდი	—	1
ქ. ზესტაფონი	—	1
ქ. გორი	—	1
ქ. ტყიბული	1	—
ქ. ჭიათურა	1	—
ქ. წყალტუბო	1	—
ცეკავშირის სისტემაში	4	6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 ლაგოდეხის რაიონის სოფელ განჯალის არასრული საშუალო სკოლისათვის მ. ფ. ახუნდოვის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვის სახელი აღნიშნული რაიონის სოფელ განჯალის აზერბაიჯანულ არასრულ საშუალო სკოლას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 15 აპრილი, № 169

41 მუხათგვერდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მუხათგვერდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის საკითხის გადაწყვეტა გადაეცეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 18 აპრილი, № 173

42 საქართველოს სსრ საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ

საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადასაწყვეტად მათი როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით და სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე მეცნიერული კვლევისა და საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა, „სამეცნიერო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რომლებსაც აქვთ საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები:

— განახორციელონ 1989 წლის 1 იანვრიდან ამ ორგანიზაციების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის ზუსტი შესაბამისობით, ამასთან უზრუნველყონ მათი საქმიანობა ახალ პირობებში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მეთოდების, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ეკონომიკური ბერკეტების, გათვალისწინებით;

— წარუდგინონ 1988 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიას მასალები ეკონომიკური ნორმატივების დამტკიცებისათვის.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახმშენის ინსტიტუტები „საქქალაქმშენსახპროექტი“, „საქსოფმშენსახპროექტი“, „საქსახპროექტი“, „საქკომუნმშენსახპროექტი“, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ინსტიტუტი „საქგზასახპროექტი“, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ინსტიტუტები „საქკვებპროექტი“ და „საქაგრომშენსახპროექტი“ 1988 წლის 1 იანვრიდან შეუდგნენ მუშაობას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც 1988 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური და ეკონომიკური განვითარების სამეურნეო ანგარიშიან ფონდში შემოსავლის ანარიცხების თანდართული ეკონომიკური ნორმატივებ

4. დაწესდეს, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში მოწინავე მიჯნების უზრუნველსაყოფად პარტიის სტრატეგიული კურსის თანამიმდევრული განხორციელება, მეცნიერული პოტენციალის სრული მობილიზაცია, კოლექტივებში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა.

5. საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურმა ორგანიზაციებმა:

— უპირველესი ყურადღება დაუთმონ წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებას, გაითვალისწინონ ორგანიზაციების უშუალო ჩაბმა მუშაობაში ციკლის მიხედვით „მეცნერული კვლევა — დაპროექტება — მშენებლობა“;

— აამაღლონ დაპროექტების ტემპი და მეცნიერული დონე, მკვეთრად გაადიდონ დამპროექტებელთა, მაძიებელთა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის პრაქტიკული უკუგება;

— გააძლიერონ პასუხისმგებლობა გამოსაშვები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის;

— სრულად გამოიყენონ შრომითი კოლექტივის ინიციატივისა და თაოსნობის განვითარების ფართო შესაძლებლობანი, არსებითად გააუმჯობესონ ხარისხი და გააძლიერონ ინტელექტუალური პოტენციალის შემოქმედებითი უკუგება, იმ ვარაუდით, რომ საწარმოო დანახარჯების ეფექტიანობა და სრული ანაზღაურება როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ისევე თითოეული მუშაკის საქმიანობის ნორმა და შრომის შედეგების შეფასების მთავარი კრიტერიუმი გახდეს.

დაევალოთ შრომითს კოლექტივებს უზრუნველყონ ახალ პირობებში შემკვეთთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, რენტაბელური მუშაობა, სახელმწიფო ბიუჯეტის, ბანკებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

6. საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს „სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ, საპროექტო, საძიებო და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 22 მაისის № 462, 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებებითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 ოქტომბრის № 1231 დადგენილებით გათვალისწინებული განაკვეთების, სარგოებისა და შრომის ანაზღაურების სხვა პირობების გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირო პროფსაბჭოს 1987 წლის 31 დეკემბრის № 793/33-75 დადგენილების შესაბამისად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

— განსაზღვრონ წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდების სახსრების მოცულობანი, რაც მოხმარდება საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური, მათ შორის დარგობრივი, ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ უმნიშვნელოვანეს დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა და ეკონომიკურ გამოკვლევათა დაფინანსებას, ხუთწლიანი პერიოდისათვის წლების მიხედვით დაყოფით და მკაცრი კონტროლი გაუწიონ მათს გამოყენებას;

— შეიტანონ საქართველოს სსრ საპროექტო, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის პირობებიდან გამომდინარე ცვლილებანი ხუთწლიანი გეგმით დამტკიცებულ მაჩვენებლებში.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოამზადონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102 დადგენილებებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 აპრილი, № 200

№ 2

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა
1988 წლის 29 აპრილის № 200 დადგენილებით

ეკონომიკური ნორმატივები

შემოსავლის ანარიცხებისა სახელმწიფო ბიუჯეტში და 1988 წლის დამდეგიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა სოციალური და ეკონომიკური განვითარების სამეურნეოანგარიშიან ფონდში

	წლები	საქართველოს სსრ სახმშენის ინსტიტუტები				საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს „საგზასაპროექტი“	საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ინსტიტუტები	
		„საქქალაქმშენსახპროექტი“	„საქსახპროექტი“	„საქსოფმშენსახპროექტი“	„საქკომბინმშენსახპროექტი“		„საქაგროფმშენსახპროექტი“	„საქცეპროექტი“
ეკონომიკური ნორმატივები								
საწარმოო ფონდების გადასახდელისა (ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო-წლიური ღირებულების პროცენტულად)	1988 1989 1990	2,0 2,0 2,0	2,0 2,0 2,0	2,0 2,0 2,0	2,0 2,0 2,0	2,0 2,0 2,0	2,0 2,0 2,0	2,0 2,0 2,0
შრომითი რესურსების გადასახდელისა (ერთ მუშაკზე წელიწადში — მანეთობით)	1988 1989 1990	300 300 300	300 300 300	300 300 300	300 300 300	300 300 300	300 300 300	300 300 300
გაანგარიშებული შემოსავლის ანარიცხებისა სახელმწიფო ბიუჯეტში (გაანგარიშებული შემოსავლის თანხის პროცენტულად)	1988 1989 1990	5,2 5,0 5,1	8,2 8,0 8,1	6,9 6,7 6,8	9.1 8,8 9,0	4,52 4,52 4.52	1,0 1,0 1,0	1,0 1,0 1.0

	წლები	საქართველოს სსრ სახმშენის ინსტიტუტები				საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ინსტიტუტი „საქგზასახკოლეგი"	საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ინსტიტუტები	
		„საქქალაქმშენსახპროექტი"	„საქსახპროექტი"	„საქსოფმშენსახპროექტი"	„საქკომუნმშენსახპროექტი"		„საქგრომშენსახპროექტი"	„საქკოლპროექტი"
მათ შორის აღგილობრივ ბიუჯეტში	1988	0,52	0,82	0,69	0,91	0,45	0,1	0,1
	1989	0,50	0,80	0,67	0,88	0,45	0,1	0,1
	1990	0,51	0,81	0,68	0,90	0,45	0,1	0,1
ანარიცხებისა ზემდგომ ორგანიზაციებში (გაანგარიშებული შემოსავლის პროცენტულად)	1988	3,5	3,5	3,5	3,5	3,04	3,9	3,0
	1989	3,5	3,5	3,5	3,5	3,04	3,9	3,0
	1990	3,5	3,5	3,5	3,5	3,04	3,9	3,0
მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა (გაანგარიშებული შემოსავლის პროცენტულად)	1988	12,0	12,0	12,0	12,0	15,4	17,1	13,3
	1989	12,0	12,0	12,0	12,0	15,4	17,1	13,3
	1990	12,0	12,0	12,0	12,0	15,4	17,1	13,3
წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში ამორტიზაციის ანარიცხებისა სრული აღდგენისათვის (პროც.)	1988	30,0	30,0	30,0	30,0	—	—	—
	1989	30,0	30,0	30,0	30,0	—	—	—
	1990	30,0	30,0	30,0	30,0	—	—	—
ანარიცხებისა საავალუტო ანარიცხების ფონდის შესაქმნელად (პროც.)	1988	40,0	40,0	40,0	40,0	—	40,0	40,0
	1989	40,0	40,0	40,0	40,0	—	40,0	40,0
	1990	40,0	40,0	40,0	40,0	—	40,0	40,0

43 ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის სამუსიკო სკოლისათვის დ. ე. არაყიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან, და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის სამუსიკო სკოლას მიეკუთვნოს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 აპრილი, № 203

44 პროფესორ კ. ე. გაბუნიას სახელოვნების პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის" წინადადებანი და დაწესდეს პროფესორ კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნიას სახელობის პრემია 2 ათასი მანეთის ოდენობით, რომელსაც მიანიჭებს საქართველოს გეოლოგთა საზოგადოება საქართველოს სსრ გეოლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისაღმი მიძღვნილი შრომებისათვის, რომელთა გამოყენებას დიდი სახალხო-სამეურნეო და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული პრემია გაიცეს სამ წელიწადში ერთხელ საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის" სახსრებიდან.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საწარმოო გაერთიანებამ „საქგეოლოგიამ" სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დებულება კ. ე. გაბუნიას სახელობის პრემიის შესახებ, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 აპრილი, № 204

ინდექსი — 70187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2, 1988 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII-88 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 6, სააღრიცხვო თაბახი 6.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 626 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა